საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 2 ნოემბერი. 2016 წ. №204 (8096), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

აშკარად მიკერძოებულო ბატონო იან!

ღია წერილი ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს

ჯერ საარჩევნო ციებ-ცხელება არ განელებულა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იან კელი ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნეთა ციტადელში, ანუ ნაციონალური მოძრაობის მთავარ შტაბში, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის სათავო ოფისში შეიტყუეს და ისე გამომწვევად, არადიპლომატიურად ალაპარაკეს, კიდევ ერთხელ გული გაუხეთქეს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

ღრმად პატივცემულო იან, ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის და იმედის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩო, ისე ადვილად გაიშიფრეთ, როგორც სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია – გამორჩეულად მიკერძოებული, გამორჩეულად ცრუ და ანტიქართული პანდორას ყუთი.

– რა თქმა უნდა, მე არც ერთი ტელევიზიის მხარდამჭერი არა ვარ, მაგრამ თითოეულ ქვეყანას სწორედ ისეთი არხი უნდა ჰქონდეს, როგორიც „რუსთავი-2“-ია, რომელიც ყოველი მოქალაქის პლურალისტურ გულისთქმას გამოხატავს – დაახლოებით ასე ბრძანეთ, ბატონო ელჩო.

ალბათ, დაგვეთანხმებით, ძვირფასო მკითხველო, ჩვენს სამშობლოში ერთი წლის წინათ გამომწესებული დიპლომატის ბაგეებით ვითომ მიუკერძოებლად განწყობილი კეთილმოსურნე, სინამდვილეში კი ისევ ნაციონალური მოძრაობის და მისი კერძო ტელევიზიის ანტიქართული იდეების ერთგული და მათივე გულდათუთქული მფარველი მეტყველებდა!

ბრავო! მართლაც დიპლომატიურად შეფუთეთ სათქმელი, ბატონო იან, და ქართველ ხალხს, ახლახან არჩევნებში დამაჯერებლად გამარჯვებულ „ოცნებას“, ქვეყნის ხელისუფლებას ღიმილით შეახსენეთ, რომ „რუსთავი-2“-ს თავი დაანებეთო!

ბატონო ელჩო, როგორც ჩანს, თქვენ კიდევ არ იცით, რომ ნაცმოძრაობა და მისი ვაიბელადი მიხეილ სააკაშვილი ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას სახელმწიფო დამნაშავეებად, რუსეთთან წინასწარ წაგებული ომის წამომწყებებად, ქვეყნის ტერიტორიების დამქუცმაცებლებად, დემოკრატიის მტრებად, ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი-2“ სიცრუისა და იდეოლოგიური ჯოჯოხეთის ნაცისტურ შტაბად მიაჩნია!

სირცხვილია, ბატონო იან, დროა, როგორც ჩვენში იტყვიან, ყურები გამოიფხიკოთ და მხარში დაუდგეთ ქართველ ხალხს, არჩევნებში გამარჯვებულ უმრავლესობას და არა მატყუარა და არამზადა ნაციონალების კერძო ტელევიზიას.

ისე, თავმოყვარე ერმა და მისმა ხელისუფლებამ როგორ უნდა აიტანოს ასეთი აშკარად მიკერძოებული ელჩი, ბატონო იან?!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ნედ პრაისი:
არჩევნები ადასტურებს, რომ საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია

2

შავ ზღვაში ნატო ძლიერდება... ჩვენ მაყურებლის როლში არ უნდა ვიყოთ!

8

დაუთვლელი უსახლკაროები

9

კოკო შანელი – მისი სუნამო, მოდა, ჰარამხანა, ჯაშუშობა...

12

ქუთაისს ნაცების მიწებებული სტატუსი არ სჭირდება

პარლამენტის ადგილსამყოფელი დედაქალაქშია!

3

ბორკილებადაცეული პრობლემები

ავადმყოფებს საქართველოში უნდათ მკურნალობა, თიბილოვი კი რუსეთში ერეკება

7

ახალქალაქი ორთავიანი არწივით

როგორ ილებს საქართველოს სომხური მოსახლეობა რუსეთის მოქალაქეობას

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

გოჩა ენუქიძე
№58 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
რაჭა ლეჩხუმი-ზემო-სვანეთი

არჩილ თალაკვაძე
№59 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
ოზურგეთი

ოთარ დანელია
№62 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
მარტვილი-აბაშა

ანზორ ბოლქვაძე
№73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
ხულო, შუახევი და ქედა

„აშშ ულოცავს საქართველოს მოსახლეობას გუშინდელი საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულებას, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია. აღვნიშნავთ, რომ ეუთოს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა როგორც 8 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები, ისე 30 ოქტომბერს გამართული მეორე ტური როგორც კონკურენტული და ადმინისტრირებული კანდიდატებისა და ამომრჩევლების უფლებების პატივისცემით“, — აღნიშნულია თეთრი სახლის პრესსპიკერის ნედ პრაისის განცხადებაში.

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეშფოთებას გამოთქვამს ძალადობისა და დაშინების ცალკეული ინციდენტების გამო და ხელისუფლებას მათი გამოძიებისკენ მოუწოდებს.

„სხვადასხვა სპექტრის პოლიტიკურმა ლიდერებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი მხარდამჭერებისადმი საარჩევნო პერიოდში თავშეკავებულობისკენ მოწოდებებით, ამგვარად ქართველმა ამომრჩეველმა შეძლო თავისუფლად გაეკეთებინა თავისი არჩევანი.

ამის მიუხედავად, ჩვენ შეშფოთებული ვართ ძალადობისა და დაშინების ცალკეული ინციდენტების გამო და მოვუწოდებთ ანგარიშვალდებულებისკენ, ასევე, კანონის უზენაესობის შესაბამისად, დეტალური და დაბალანსებული გამოძიებისკენ. მოვუწოდებთ ყველა პარტიის პოლიტიკურ ლიდერებს, იმუშაონ ერთად ყველა ქართველისთვის მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად, მათ შორის დემოკრატიული კონსოლიდაციის, უსაფრთხოების და ეკონომიკური განვითარების. მზად ვართ, ვიმუშაოთ ახალ მთავრობასთან და პარლამენტთან საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე მისი ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდასაჭერად“, — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

ნედ პრაისი: არჩევნები ადასტურებს, რომ საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია

კონსულტაციები სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით

„ქართული ოცნება“ სამთავრობო და საპარლამენტო სტრუქტურების ფორმირების მიზნით კონსულტაციებს მართავს, რომელიც 10-11 ნოემბრისთვის დასრულდება. განცხადება ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა:

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ რამდენიმე დღე აქტიური კონსულტაციების, აქტიური თათბირის რეჟიმში გავხარჯოთ და ამის შემდეგ ვამცნოთ საზოგადოებას მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსი. სწორი გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდება გუნდის შიგნით კონსულტაციები, პოზიციების შეჯერება, საერთო კანდიდატურებზე შეთანხმება“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

„რესპუბლიკური პარტია“ დაიშალა!

„12 წელი ვიყავი პარტიაში, მანამდე 12 წელი არ ვიყავი, ორივე 12 წელი თანაბრად მიყვარს, ახლა ახალი ეტაპი იწყება“,— განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ცოტა ხნის წინათ პარტიიდან წასვლა დაადასტურა ვახტანგ ხმალაძემ. პარტია დავით უსუფაშვილის შემდეგ, თენგიზ შერგელაშვილმა და ფრიდონ საყვარელიძემ დატოვეს.

„რესპუბლიკელები“ დატოვა ასევე პაატა ზაქარეიშვილმა.

* * *

დავით უსუფაშვილი ახალი პოლიტიკური გაერთიანების ინიციატორი ხდება. კითხვაზე, იქნებიან თუ არა მის გუნდში უკვე ყოფილი „რესპუბლიკელები“, უსუფაშვილი ამბობს, რომ მას აქვს მათთან თანამშრომლობის სურვილი, თუმცა, მისივე თქმით, ეს არ იქნება საყრდენი გუნდი:

„ყველასთან მექნება ურთიერთობა. ბევრმა დამიდასტურა და სურს პოლიტიკური აქტივობის გაგრძელება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ეს საყრდენი გუნდი, რომელსაც ხვალ ვინმე შემოუერთდება. მე ჩემ თავს პირადად განვიხილავ იმ ერთ-ერთ ადამიანად, ვინც ამ პროცესში დიალოგში ვარ სხვებთან და ასე იქნებიან სხვები“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში საუბრისას.

შევა თუ არა სანდრა რულოვსი პარლამენტში?

შევა თუ არა საარჩევნო სიის მეორე ნომერი სანდრა რულოვსი პარლამენტში, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ უცნობია. გიგი წერეთლის განცხადებით, პარტიაში პასუხი ამ დრომდე არ მიუღიათ.

„ამასთან დაკავშირებით არც ჩვენ გვაქვს საბოლოო პასუხი“, — განაცხადა წერეთელმა. შეგახსენებთ, სანდრა რულოვსმა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, თუმცა ის „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის მეორე ნომერია. რაც შეეხება პარლამენტში შესვლას, რულოვსმა დაახლოებით ორი კვირის წინათ „რუსთავი 2-ის“ ეთერში ამ თემაზე ისაუბრა დ აღნიშნა, რომ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებას მეორე ტურის შედეგების მიხედვით მიიღებს.

პოლონელი დამკვირვებლები არჩევნების მეორე ტურს დადებითად აფასებენ

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურით პოლონეთის სადამკვირვებლო მისია საერთო ჯამში კმაყოფილია.

დამკვირვებლების შეფასებით, კენჭისყრის პროცესში ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, თუმცა სერიოზული დარღვევები არ დაფიქსირებულა. მათივე განცხადებით, საარჩევნო კამპანია გარკვეულწილად დაძაბული იყო. არჩევნების პირველ ტურს 23, ხოლო მეორე ტურს პოლონელთიდან 18 დამკვირვებელი აკვირდებოდა.



რუსეთი მზადაა საქართველოსთან საპარლამენტო თანამშრომლობის აღდგენისთვის

საქართველოში ჩატარებული არჩევნების მეორე ტურის შედეგებს ეხმიანება რუსეთის სათათბიროს დსთ-ს, ევრაზიული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. ლეონიდ კალაშნიკოვი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მისი კომიტეტი მზად, არის საქართველოსთან საპარლამენტო თანამშრომლობის აღდგენისთვის საჭირო პროცედურები დაიწყოს. თუმცა ის აცხადებს, რომ „ეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის ავტომატურ აღდგენას არ ნიშნავს“. ლეონიდ კალაშნიკოვის თქმით, ჯერჯერობით წინააღმდეგობები კვლავ არსებობს, თუმცა კონსულტაციები გრძელდება.

მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ „რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა ჩაიშალა, მიხეილ სააკაშვილის და მისი პარტიის იმედი კი, ხელისუფლებაში დაბრუნების თაობაზე დაიმსხვრა“.

საქართველოს ინდონეზიის დელეგაცია სტუმრობს

სტუმრები ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით ჯალაღანიას შეხვდნენ.

სამინისტროში გაიმართა პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს მიეძღვნა. ინდონეზიის დელეგაცია თბილისის იუსტიციის სახლსაც ესტუმრა. სტუმრებს საჯარო სერვისების განვითარების მიმართულებით საქართველოში დანერგილი ინოვაციები გააცნეს.

პარლამენტის ადგილსამყოფელი დედაქალაქია!

წერილი ამ ერთი წლის წინათ დედაქალაქში გახმაურებული ანეკდოტური ამბით უნდა დავიწყო. ლაპარაკია ერთ ჩვენს სტაჟიან, გამოცდილებით დამძიმებულ პარლამენტარზე (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), რომელსაც დასიზმრებია, რომ მისდამი დაქვემდებარებულ დარგობრივი კომიტეტის სხდომას უძღვებოდა ქუთაისში, პარლამენტის ახალ, უფანჯრო და უჰაერო მახინაში, მაგრამ ოთახს, რომელშიც სხდომა მიმდინარეობდა, რატომღაც კაი მოზრდილი ფანჯრები ამშვენებდა და თავად შენობაც თბილისური პარლამენტისას უფრო აგონებდა. ეტყობა, ამ ხილულმა უცნაურობამ თუ გაუგებრობამ უბიძგა პარლამენტარს, მეორე დღეს კოლეგებისთვის უჩვეულო ინიციატივა შეეთავაზებინა.

– მაქვს იდეა, კოლეგებო, – განუცხადა მან დეპუტატებს, – როგორ დავაღწიოთ თავი თბილისიდან ქუთაისში ჩვენს გაუთავებელ წოწიალს. ამის გაკეთება ძალიან მარტივად, კონსტიტუციის შეუწუხებლადაც შეიძლება, თანაც ამ წუნკალი ნაცების თანხმობაც აღარ დაგვჭირდება. დაინტერესდით, არა? ძალიან კარგი, გეტყვით, როგორ მოვიქცეთ. კანონი ჩვენს ხელთ არ არის, ავდგეთ და ის მცირე ტერიტორია, რომელიც უკავია თბილისში ძველი პარლამენტის ნაგებობას, გადავცეთ ქუთაისს და ერთბაშად გვეშველება. გარწმუნებთ, თბილისს ამით არაფერი მოაკლდება, სამაგიეროდ, ჩვენ მუშაობის ნორმალური პირობები შეგვექმნება. არავითარი პარლამენტის გადატან-გადმოტანა, უბრალოდ დეპუტატები ვისხდებით თბილისის ძველ პარლამენტში და გვერქმევა ქუთაისის პარლამენტი!

ვერ გეტყვით, ჩვენი „ინკოგნიტო“ პარლამენტარის ამ არასერიოზულმა ინიციატივამ როგორ იუმორისტულ განწყობაზე დააყენა მაშინდელი დეპუტაცია და საზოგადოება, მაგრამ სახუმროდ და საშარლატანოდ რომ არ გვაქვს საქმე, კიდევ ერთხელ გამოჩნდა 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, როცა „ოცნების“ მიერ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების საშიშროებამ დედაბუდიანად ააწიოკ-ააქოთქოთა სააკოველი ნაცბანდელები და მათი იდეების მანიაკურად მიმდევრები. არიქა, ვიღუპებითო! – შემოჰკრეს მათ განგაშის ზარები, ივანიშვილს აწი რაღა შეაჩერებს, პარლამენტს სასწრაფოდ თბილისიდან ქუთაისში გადაიტანს, პრეზიდენტს ხალხის ნაცვლად პარლამენტს აარჩევინებს და ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც უმალ წირვას გამოუყვანსო.

ივანიშვილი და „ოცნება“ რით მოიგებენ ამომრჩევლის გულს, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება, მაგრამ საქართველოდან დამნაშავის იარლიყით გაქცეულმა და უკრაინაში თავშეფარებულმა საакაშვილმა რით დაიმსახურა ნაცნარჩენების ასეთი გაუნელებელი თაყვანისცემა, ეს კი ცოტა არ იყოს, გაუგებრად მეჩვენება. თუმცა ამ სულწასულებსაც, ალბათ, ვერ წავართმევთ, უფლებას, მოიწონონ და გუნდრუკი უკმიონ ფლიდი და ავანტიურისტი სააკაშვილის მიერ წლების მანძილზე ნაკეთებ სადისტურ საქმეებს – ადამიანთა საკუთრების კანონდარღვევით ხელყოფას, ბიზნესის პერმანენტულ დაყაჩაღებას, საზოგადოების დატერორებას, მშვიდობიანი აქციების მხეცურად რბევას, ხელკეტებითა და ცოცხებით პატიმრების გაუპატიურებას, დაკარგული ტერიტორიების „ქვების გროვად“ გამოცხადებას და კიდევ რას აღარ. ყველას ჩამოთვლა, ალბათ, თავად სატანისტ ნაცებსაც გაუჭირდებათ.

ერთი კი ფაქტია, **იმ უთვალავ ბოროტებათა შორის, რომლითაც „სულმნათ“ სააკაშვილს საქართველოს ისტორიის მეხსიერების გამდიდრება სურდა, ერთ-ერთი გამორჩეულია ქვეყნის კონსტიტუციაში თვითნებური ცვლილების შეტანა და ქუთაისის საპარლამენტო ქალაქად გამოცხადება.** რა თქმა უნდა, მას როგორც ერთპიროვნულ მმართველსა და უზურპატორს, რომელიც წლების მანძილზე ხელისუფლებას ჩილიკა ჯოხივით ათამაშებდა, შეეძლო კონსტიტუციის დაუკითხავადაც გადაეტანასაც პარლამენტი დედაქალაქიდან ქუთაისში, ან სულაც ხარაგაულში, მაგრამ ეტყობა, გაახსენდა, რომ ამასთან ერთად დედაქალაქის ქუთაისში გადატანასაც გეგმავდა (მთავრობისთვის სახლი უკვე აშენებული ჰქონდა) და როგორღაც დაიმორცხვა (!). ან იქნებ იყნოსა, რომ პარლამენტის ასეთი მონაცვლეობა ეროვნული დანაშაულის ტოლფასია და უმაღლეს სასჯელთან ერთად ხალხის რისხვისა შეეშინდა?!

ნურას უკაცრავად (მიშას საყვარელი სიტყვებია), მხდალი და მშიშარა სააკაშვილი აბა ვის უნახავს, მტრის რისხვად აღვლენილი ღრუბელ-ღრუბელ მფრინავი პრეზიდენტი რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მხოლოდ ერთხელ განერთხო მიწას ჰალსტუხის ღეჭვით. ეგ იყო და ეგ, ამის გარდა უშიშო (ვითარცა უხორცო) მთავარსარდალი არა თუ მფორთხავი, უბრალოდ ჩაფიქრებულიც კი აღარავის დაულანდავს – ვაი თუ სადედაქალაქო ატრიბუტებისგან (პარლამენტი, მთავრობა) დაცარიელებულმა თბილისმა ფუნქციები დაკარგოს, დაუძლურდეს და უცხოტომელთა სათარეშო ქალაქად გადაიქცესო.

სამაგიეროდ, შეშფოთებას ვერ მალავენ ნაცების იდეოლოგიური მარაზმით შეპყრობილი ბოკერია, სვანური კუბდარის გურმანი ბარამიძე, სუპერმენი (რვა ყაჩაღმა ძვრა ვერ უყო) წიკლაური, ფალოსის ტრფიალი ჭიაბერაშვილი, ქუთაისის სათადარიგო კომენდანტი ბობოხიძე, სხვანი და სხვანი, რომელთა კალთის ქვეშაც შეეძლო ფრთები გაეშალა სავარდო და მასაისო ქუთაისს, მაგრამ ახლა „ოცნების“ მესვეურნი პარლამენტის წართმევით და პერსპექტივის გაქროებით ემუქრებიან.

ისეთ სუპერდემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, აბა ნაცებს აღშფოთების უფლებას ვინ წაართმევს, თუმცა ეს არც ჩვენ გვართმევს უფლებას, გვალვაგამძლე მიშნაცებისგან მოვითხოვოთ, ვრცლად თუ არა, სულ რამდენიმე სიტყვით მაინც დაგვიხატონ – რა სიკეთესა სწია ქუთაისი და ქუთაისელები პარლამენტის თბილისიდან ამ ქალაქში გადმობრძანებამ? ვიცი მათი ბაქიბუქა თავის ამბავი, მოკლედ კი არა, გრძლად საუბარსაც არ მოერიდებოდნენ, მაგრამ სათქმელი თუ არაფერი აქვთ?

გასაგებია რატომაც ჩაუვარდათ ენები. **მახსოვს, სააკაშვილისეულ იმ დიდი აღმშენებლობის წლებში, ქუთაისს ხან ინდუსტრიულ ზონად, ხანაც თავისუფალი ვაჭრობის ზონად გადაქცევას უპირებდნენ, მაგრამ ვერც ერთის რეალიზება შეძლეს და ვერც მეორესი. ერთადერთი რაც მოახერხეს, ხალხის დაუსაქმებლობა და წყლის გრაფიკით მიწოდების უცვლელობა იყო.** ქუთაისში პარლამენტართა სტუმრობით ისარგებლა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ოჯახმა, რომელთაც ბინების გაქირავებით აღებულ თანხას ანაცვალეს ქვეყნის ინტერესები და „ოცნებას“ დაემუქრნენ – თუ პარლამენტს დედაქალაქში დააბრუნებთ, არჩევნებში ჩვენგან მოცემულ ხმებს სამუდამოდ დაემშვიდობეთო.

ეს ერთეულმა ოჯახებმა ისარგებლეს, მაგრამ განა არ დადგა დრო, დაისვას კითხვა: **რა ზარალი მიაყენა ქვეყანას, მის ბიუჯეტს შარახვეტია სააკაშვილის ხუშტურების საამებლად, პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანის გადაწყვეტილებამ? იმასაც რომ თავი დავანებოთ, რაც იმ უგვანო მახინის (პარლამენტის შენობის) აგებაში მილიონები გადაიყარა და რომლის შენახვაშიც ახლა იყრება, განა ხელისუფლების გონივრულ ფინანსურ ნაბიჯად ჩაითვლება, იმ სახსრების ფლანგვა, რაც თბილისი-ქუთაისის გზაზე დეპუტატთა წაღმაუკუღმა პროწიალს, მათთვის ბინების ქირავნობას, მანქანების ცვეთასა თუ საწვავის ხარჯს ხმარდება?** ეს ჩვენი „პონჩიკა“ ფინანსისტი (ხადური), სამინისტროს მოხელეებისთვის პრემია-დანამატების ჩამორიგებით რომ არის გართული (შარშან ფინანსთა სამინისტროს მარტო 4 თანამშრომელს 18-ჯერ მიეცა პრემია), განა მოვალე არ არის, საჯაროდ, ქვეყნის გასაგონად განმარტოს, რატომ ნიავდება ასე უშურველად საბიუჯეტო თანხები, მაშინ როცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილის ზღვარზეა, ხოლო პენსიონერები, სოციალურად დაუცველი სხვა ადამიანები არსებობისათვის საჭირო მინიმუმსაც ვერ იღებენ? კეთილი ინებონ და აგვიხსნან, იმ ბიუჯეტიდან თითოეული ჩვენგანის კუთვნილი თანხა ასე უპრაგონოდ რატომ იყრება?

დროა, ნაცების ნაბოდვარს, რომ ქუთაისი უპარლამენტოდ უპერსპექტივო ქალაქად იქცევა, რომ თითქოს ქუთაისისა და ქუთაისელების მოკეთენი მხოლოდ მიშნაცები არიან, სხვა დანარჩენნი კი სეირის მაცქერალნი, ცივი წყალი გადაესხას. ამ ქალაქს არ სჭირდება ავანტიურისტი სააკაშვილის მიერ ხელოვნურად მიწებებული საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსი. ქუთაისი ქართველთათვის (და არა მარტო მათთვის) ყოველთვის იყო და მარად დარჩება დიდი ისტორიული წარსულის, ეროვნული ტრადიციების, მაღალი კულტურისა და სულიერების ქალაქად. ამ რწმენას აორკეცებს ბიძინა ივანიშვილის ახლახან გახმაურებული დანაპირები, რაც ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.

დროა, ნაცების ნაბოდვარს, რომ ქუთაისი უპარლამენტოდ უპერსპექტივო ქალაქად იქცევა, რომ თითქოს ქუთაისისა და ქუთაისელების მოკეთენი მხოლოდ მიშნაცები არიან, სხვა დანარჩენნი კი სეირის მაცქერალნი, ცივი წყალი გადაესხას. ამ ქალაქს არ სჭირდება ავანტიურისტი სააკაშვილის მიერ ხელოვნურად მიწებებული საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსი. ქუთაისი ქართველთათვის (და არა მარტო მათთვის) ყოველთვის იყო და მარად დარჩება დიდი ისტორიული წარსულის, ეროვნული ტრადიციების, მაღალი კულტურისა და სულიერების ქალაქად. ამ რწმენას აორკეცებს ბიძინა ივანიშვილის ახლახან გახმაურებული დანაპირები, რაც ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.



ქუთაისს ნაცების მიწებებული სტატუსი არ სჭირდება

დროა, ნაცების ნაბოდვარს, რომ ქუთაისი უპარლამენტოდ უპერსპექტივო ქალაქად იქცევა, რომ თითქოს ქუთაისისა და ქუთაისელების მოკეთენი მხოლოდ მიშნაცები არიან, სხვა დანარჩენნი კი სეირის მაცქერალნი, ცივი წყალი გადაესხას. ამ ქალაქს არ სჭირდება ავანტიურისტი სააკაშვილის მიერ ხელოვნურად მიწებებული საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსი. ქუთაისი ქართველთათვის (და არა მარტო მათთვის) ყოველთვის იყო და მარად დარჩება დიდი ისტორიული წარსულის, ეროვნული ტრადიციების, მაღალი კულტურისა და სულიერების ქალაქად. ამ რწმენას აორკეცებს ბიძინა ივანიშვილის ახლახან გახმაურებული დანაპირები, რაც ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.

ოთარ ხუციშვილი

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

ბიძინა გეგიძე
№2 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. ვაკე.

ლევან გოგიჩაიშვილი
№6 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. საბურთალო.

ბექა ოდიშარია
№7 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. კრწანისი.

ირაკლი აბუსერიძე
№8 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. ისანი

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

ᲐᲘ, ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲕᲘᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ
№9 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲘᲡᲐᲜᲘ

ᲑᲔᲥᲐ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
№10 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲘᲡᲐᲜᲘ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲝᲡᲘᲫᲔ
№11 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲨᲘ
№12 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘ

◎ ᲛᲘᲕᲐᲚᲬᲔᲕᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲡ?

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲨᲝᲠᲓᲔᲑᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ტემპი, მატების ნაცვლად, ჯერჯერობით იკლებს. რა შეიცვლება დარჩენილ 2 თვეში ძნელი სათქმელია.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2016 წლის სექტემბერში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპმა 1,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთლიანად III კვარტლის შედეგი - 2,2 პროცენტია. 2016 წლის ცხრა თვეში ეკონომიკის საშუალო რეალური ზრდა 2,6 პროცენტს არ აღემატება, არადა მთავრობა მინიმუმ 3%-ს ელოდება, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდი კიდევ უფრო მეტს.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა ამბობს, რომ „საქსტატმა“ ეკონომიკის ზრდის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომელიც კვარტალურად ზუსტდება. ყოველთვიური მონაცემები საკმაოდ მერყეობს.

„წინა თვეში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით 2.9% გვქონდა, რაც ბუნებრივია, მაღალი არაა, მაგრამ რეგიონში არსებული მაჩვენებლების ფონზე საკმაოდ დამაკმაყოფილებელია. ძალიან რთული იქნება ერთი თვის მონაცემებით რაიმე ტენდენციების შეფასება, თუმცა ჩვენ ამას ვაკვირდებით. ეს სიგნალი იყო, რომ უკეთესი ანალიზი გავაკეთოთ და შევაფასოთ, თუ რა ტენდენციებია ქვეყანაში. არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში ერთი თვის ჩავარდნა იყოს და ის ტემპი, რაც დაგეგმილია, ეკონომიკის ზრდის 3%-ს ვგულისხმობ, შემდეგ თვეში აღდგეს. გამორიცხული არ არის, რომ ეს 1.5%-იანი მაჩვენებელი დროებითი, ერთვთიანი მაჩვენებელი იყოს.

ძირითადად ჩვენი მოლოდინი მომავალ წელზეა გათვლილი



და ბიზნესის ნდობის ფაქტორების ზრდას, დოლარიზაციის შემცირებასა და საინვესტიციო პროექტების დაჩქარებას ველოდებით. ამ ყველაფერმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმების შედეგად“, — აცხადებს ნიკოლოზ გაგუა.

რეფორმებზე საუბრობს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა კობახიძეც. მისი თქმით, მმართველი გუნდის გადაწყვეტილებები მოქალაქეების საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

„ჩვენი ის პროგრამული დანაპირები, რაც განვაცხადეთ, უნდა შევასრულოთ და ქვეყნის სწრაფი განვითარება, სამუშაო ადგილები, ეკონომიკური ზრდა უზრუნველვყოთ. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ ქვეყანაში მისთვის სასიკეთო რეფორმები ხორციელდება. ჩვენ თანმიმდევრულად განვახორციელებთ ამ რეფორმებს“, — აღნიშნა კობახიძემ.

ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ავთო სილაგაძე ფიქრობს, რომ წლის ბოლომდე შეიძლებელია მშპ-ს ზრდის ტემპი ცოტათი დაჩქარდეს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს შეცვლის.

„წლის ბოლომდე ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს არ უნდა ველოდოთ, მაგრამ მცირე ცვლილების იმედი ნამდვილად მაქვს. საერთოდ, 3%-იან მაჩვენებელზე არ უნდა ვსაუბრობდეთ, ეს არასაკმარისია. მინიმუმ 4-5%-იანი ეკონომიკური ზრდა გვჭირდება“, — აცხადებს სილაგაძე.

წლევანდელი ბიუჯეტით წელს 3%-იანი ეკონომიკური ზრდაა დაგეგმილი. შარშან ეს მაჩვენებელი 2.8% იყო, 2017 წელს კი მთავრობა 4%-იანი მაჩვენებლის მიღწევას გეგმავს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2010 წლიდან მოყოლებული, საშუალოდ, 6.1%-ს შეადგენდა, თუმცა 2013 წლიდან მისი ტემპი შენელდა და 3.3% შეადგინა. 2014 წელს მთავრობას 5%-იანი ეკონომიკური ზრდა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა 4,6%-ს ვერ გასცდა. 2015 წელს კი, მშპ მხოლოდ 2.8%-ით გაიზარდა.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ რეგისტრირებული მოსწავლეების საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობის ძველი ბარათების მოქმედება 20 ნოემბერს შეწყდება.

თბილისის მერიასა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, სექტემბრიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსწავლეთა უფასო მგზავრობის ახალი, იდენტიფიცირებული 53 ათასი უფასო სამგზავრო ბარათი გაიცა.

მოსწავლის მშობელმა ან უფლებამოსილმა პირმა ახალი სამგზავრო ბარათის ასაღებად უნდა მიმართოს თბილისში „საქართველოს ბანკის“ სერვის-ცენტრებს (გარდა „ექსპრეს-ბანკის“ ფილიალებისა).

მოსწავლეებს ავტობუსით, მეტროთი და საბაგირო გზით უფასო მგზავრობის გარდა, ბარათზე თანხის ჩატვირთვის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ, ბარათი გამოიყენონ სკოლის სასადილოში. გარდა ამისა, ბარათის მფლობელი შეღავთიანი ფასით ისარგებლებს სავაჭრო ცენტრებში, მათ შორის, წიგნის მაღაზიებში, ასევე:

მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება უფასოდ ჩაერთოს „საქართველოს ბანკის“ sCool Card-ის სკოლის სპეციალურ ტრენინგებში;

დააგროვოს sCool-ები მაღაზიებში გადახდისას. დაგროვილი ქულები კი, სასურველ ნივთებში გადაცვალოს.

სულ, თბილისის მერია, 26 კატეგორიის 600 ათასამდე მოქალაქისთვის გასცემს მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის პლასტიკურ ბარათებს, რაც მომავალშიც იგივე რეჟიმში გაგრძელდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, როგორც კინოგადაღების მოედანი უფრო და უფრო დატვირთული ხდება და კინოინდუსტრიის წახალისების პროგრამით „გადაიღე საქართველოში“ დაინტერესებულთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. პროგრამის ფარგლებში, მისი ამოქმედებიდან სულ რაღაც 7 თვეში კიდევ ერთი, ახალი, რიგით მეხუთე პროექტი ხორციელდება.

ახალი, ინდური მძაფრსიუჟეტიანი მხატვრული ფილმის „პსვ გარუდა ვეგა“ გადაღებები დღეს, ძველი თბილისის ქუჩებში 12:00 საათზე გაიმართება და გადასაღებ მოედანს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ქეთევან ბოჭორიშვილი, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ განმახორციელებელი უწყების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების საგენტოს დირექტორთან ანი კვარაცხელიასთან ერთად ესტუმრება.

აღსანიშნავია, რომ ინდური კომპანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ბორჯომში, კახეთში, ჭიათურაში, ბათუმსა და თბილისში 1 თვის განმავლობაში, 21 ოქტომბრიდან — 20 ნოემბრის ჩათვლით გადაიღებს მორიგ პროდუქტს. პროექტის ფარგლებში საქართველოში 790 000 ლარი დაიხარჯება და გადაღებების პირველ ეტაპზე 20 მსახიობი დასაქმდება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐ-ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული ბანკი კიდევ ერთ საკოლექციო დანიშნულების მონეტას გამოუშვებს. როგორც სებ-ის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მელაშვილმა განაცხადა, აღნიშნული მონეტა ვერცხლის იქნება და ის ბორდოში დაგეგმილ ღვინის საერთაშორისო გამოფენას მიეძღვნება.

გიორგი მელაშვილის განმარტებით, უახლოეს პერიოდში მონეტის დიზაინის შესარჩევად სპეციალური კონკურსი გამოცხადდება. დიზაინის შერჩევის შემდეგ კი მის მოჭრაზე ის იზრუნებს, რომელიც საერთაშორისო კონკურსის გზით მოიპოვებს აღნიშნულ უფლებას.

2017 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში ქართული მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიძღვნილი მასშტაბური გამოფენა მოეწყობა. ღონისძიება საქართველოს, როგორც ღვინის კულტურისა და უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის პოპულარიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იქნება პირველი მიწვეული ქვეყანა, რომელიც ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიძღვნილ გამოფენათა ციკლს გახსნის.

ღონისძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოფენის წარმატებით და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით, გამოფენის საორგანიზაციო საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია შეიქმნა. კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები შედიან, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია უხელმძღვანელებს.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ქ. მარნეულში რამდენიმე ქუჩის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია დაასრულა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში სმპ-ს დასახლებაში, სადაც ათეულობით აბონენტი წყალს საერთო ონკანიდან იღებდა, მოეწყო სრულიად ახალი ქსელი და მოწესრიგდა შიდა ინფრასტრუქტურა. შესრულებული სამუშაოების შედეგად, დასახლებაში მცხოვრები 48 ოჯახი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით სარგებლობს.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე, ჩატარდა ქობულეთის ქუჩაზე და ნარიმანოვის ქუჩის რამდენიმე მონაკვეთზე (სადაც წყლის ცენტრალიზებული სისტემა დღემდე არ არსებობდა). პროექტის განხორციელების შედეგად, აღნიშნულ დასახლებებში პრობლემა მოგვარდა და 1000-მდე აბონენტი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით უკვე სარგებლობს.

სამუშაოები გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური რესურსით განხორციელდა.

საგარეო ვალების შემცირებას რაღა აზრი აქვს, თუ საშინაო ვალები უზომოდ გაზარდე?!

მთავრობის მიერ აღებულმა 211-მილიონიანმა საშინაო ვალმა ექსპერტთა ნაწილი დააფიქრა: მას ხომ მთელი წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდა 200 მილიონი საშინაო ვალი?! ამას ემატება საგარეო ვალიც და, მთლიანობაში, მდგომარეობა არასახარბიელოა.

აღნიშნულის შესახებ For.ge-ს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჭანიავაშვილი ესაუბრა.

— როგორ ფიქრობთ, ამ 211 მილიონიდან ზედმეტად აღებული 11 მილიონი ვალი უკანონო იყო?

— 2016 წელს დაგეგმილი იყო, რომ მთავრობა აიღებდა 200 მილიონი ლარის ოდენობით საშინაო ვალს, მაგრამ 9 თვის მონაცემებით, უკვე აღებული აქვს 211 მილიონი, ანუ 11 მილიონით მეტი. შესაძლოა, ამ ბოლო კვარტალშიც კიდევ უფრო მეტი საშინაო ვალი აიღეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ რაც 2016 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი იყო თანხა საგარეო ვალის აღებისა და გრანტების კუთხით, ის ვერ შესრულდა და სწორედ ამ დანაკლისის როგორღაც დასაბალანსებლად მთავრობა იძულებული გახდა, დაგეგმილზე უფრო მეტი შიდა ვალი აიღო

— თქვენი აზრით, ამას ისევ საგარეო ვალის აღება სჯობდა?

— საგარეო ვალის აღება სჯობდა, რადგან, როგორც წესი, საერთაშორისო ინსტიტუტებიდან აღებული საგარეო ვალი უფრო დაბალპროცენტიანია, გრანტები ხომ საერთოდ უფასოა და ისე, მიზნობრიობის კუთხით დასახარჯად გვჩუქნიან. გარდა ამისა, უცხოური ვალუტა შემოდის ქვეყანაში, რაც დადებითად მოქმედებს ლარის კურსის სტაბილურობაზე და გაუფასურების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს. რაც შეეხება შიდა ვალს, ეს არის ძვირად ღირებული ვალი, 10-11-12%-იანი. ხელისუფლება კომერციული ბანკებიდან იღებს ამ ვალს. ირიბად რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკიდან ხდება ფულის გადაქაჩვა ბიუჯეტში, ანუ ჯერ ეროვნული ბანკი აძლევს ამ კრედიტებს კომერციულ ბანკებს, კომერციული ბანკები კი ყიდულობენ სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს, ანუ სახელმწიფოც ისეთივე დიდ სარგებელს აძლევს კომერციულ ბანკებს, როგორც ამ ბანკებისგან დაზარალებული.

— მოსახლეობა?

— დიახ, ეს არაგონივრული და ძალიან ცუდი ნაბიჯია. ამით დამატებით სარგებელს ვაძლევთ კომერციულ ბანკებს. როცა კომერციული ბანკი ხედავს, რომ გარანტირებულად შეუძლია მიიღოს 10-11%-იანი მოგება წლიურად ლარში, ცხადია, ის დაიწყებს სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვას და აღარ გასცემს კრედიტებს სოფლის მეურნეობასა თუ მშენებლობაზე, აღარ დაიწყებს იმაზე წვალებას, როგორ შეაფასოს რისკები. მისთვის უკეთესია, გარანტირებულად იყიდოს სახელმწიფო ობლიგაციები და მიიღოს ეს თანხა. ეს კარგი არ არის საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან ეკონომიკიდან ვიღებთ იმ ფულს, რომლითაც ცალკეული დარგები უნდა დაკრედიტებულიყო. ამასთან ერთად, ეს არის ძალზე ძვირად ღირებული ვალი, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული სესხი 2 და 3 %-იანია.

— საგარეო ვალს თუ შევეხებით, მთავრობის მიერ აღებული საგარეო ვალის ვადა ზოგიერთ შემთხვევაში ხანგრძლივპერიოდიანია, 20-25 წლამდეც მერყეობს და საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 1-2 %-ია, მაგრამ ქართული კომპანიები მაინც სარისკო კომპანიებად ითვლებიან და ქართველებისთვის სულ სხვა სტანდარტი მოქმედებს. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთიც ჩვენი კომპანიებისთვის 5-დან 10%-ის ფარგლებშია. იქნებ, მთავრობასაც არ ჰქონდა უკეთესი არჩევანი?

— ზუსტად ასეა, საგარეო ვალი გრძელვადიანია და ზოგიერთ ვალს საშეღავათო პერიოდიც აქვს, ანუ 10-20 წელი საერთოდ არ იხდი პროცენტს. თუმცა საგარეო ვალს აქვს კონკრეტული მიზნობრიობა, ანუ შენ თუ ეტყვი მსოფლიო ბანკს, რომ მე მინდა ავტობანის მშენებლობა, ის მოგცემს ზუსტად ამ ავტობანის ასაშენებელ სესხს. შესაბამისად, ამ სესხს სხვა დანიშნულებით ვერ გამოიყენებ, ანუ პენსიებს ვერ დაარიგებ, ხელფასებს ვერ გასცემ. ამისგან განსხვავებით, შიდა ვალს რომ იღებენ ბანკებისგან, რაშიც უნდათ, იმაზე დახარჯავენ. შიდა ვალს არა აქვს მიზნობრიობა და რაიმე შეზღუდვა.

— მათ შორის, შიდა ვალი გამოიყენება გაზრდილი პრემიებისა და სხვადასხვა მიზნებისთვისაც?

— ნებისმიერი მიზნებისთვის, როგორც თვითონ გადაწყვეტენ, ისე დახარჯავენ. შიდა ვალის მექანიზმი არის იმისთვის, რომ თუ მოკლევადიანი პრობლემა შეექმნათ ბიუჯეტში, უცებ აღმოფხვრან. ამიტომაც არის ის ძვირად ღირებული.

— რატომ არ არის ჩადებული კანონმდებლობაში რაიმე ბერკეტი, რომ საშინაო ვალისადმი წვდომა ასე ადვილი არ იყოს?

— საკანონმდებლო შეზღუდვა აქ არ არსებობს. ერთადერთი შეზღუდვა ისაა, რომ ჩვენი ფინანსთა სამინისტრო და მთავრობა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ არ აიღოს ასეთი ვალები. როდესაც საუბრობენ, რომ საგარეო ვალების აღება შეამცირეს, რაღა აზრი აქვს, თუ საშინაო ვალები ძალიან გაზარდეს?! თუ იმაზე იყო საუბარი, რომ უცხოურ ვალებს აღარ ვიღებთ და ჩვენს შვილიშვილებს არ დარჩებათ საგარეო ვალი გადასახდელი, რა აზრი აქვს, შიდა ვალები ხომ დარჩებათ? თანაც, ბევრად უფრო ძვირად ღირებული და ბევრად არაეფექტური ჩვენი ეკონომიკისთვის. საამისოდ საკანონმდებლო შეზღუდვა არ არსებობს და მეც მიმაჩნია, რომ უნდა იყოს შეზღუდული, რადგან შეიძლება რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდეს და მიმდინარე პრობლემების დასაფინანსებლად მართლაც დაგვჭირდეს მცირე ვალის აღება შიდა ბაზარზე. ეს ნორმალურია, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს დიდი მასშტაბი. უწინარესად, ეს ფინანსთა სამინისტრომ უნდა გააკონტროლოს და ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოებამ, ფინანსთა სამინისტრო უნდა ვაკონტროლოთ და ვაკრიტიკოთ, რომ ბევრი შიდა ვალი არ აიღონ და ნამეტანი არ მოუვიდეთ.

— ცხადია, ზომაზე მეტი საშინაო ვალის აღება ლარის კურსზეც უარყოფითად აისახება. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ საქართველოს საგარეო ვალმა კრიტიკულ ნიშნულს უკვე მიაღწია, ზოგი კი ვარაუდობს, რომ 2017 წლისთვის მიაღწევს ისტორიულ კრიტიკულ ნიშნულს. თქვენ როგორ თვლით?

— მართალია, საგარეო ვალმა ისტორიულ ნიშნულს მიაღწია, მაგრამ, ჩემი აზრით, კრიტიკული ნიშნულისთვის არ მიუღწევია. თუ საერთაშორისო სტანდარტებით შევხედავთ, საგარეო ვალი ითვლება მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით და ამ წუთისთვის ჩვენ ყველანაირ საერთაშორისო სტანდარტს ვაკმაყოფილებთ. ბევრ განვითარებულ ქვეყანას — ამერიკას, იაპონიას, გერმანიას, იტალიას ჩვენთან შედარებით ბევრად მეტი საგარეო ვალი აქვს აღებული. საგარეო ვალის აღება არ არის პრობლემა. მე მივესალმები, თუ საგარეო ვალს უფრო მეტად აიღებენ, ოღონდ საშინაო ვალი არ აიღონ. როდესაც ვიღებთ საგარეო ვალს, ეს ნიშნავს, რომ უცხოური ვალუტა შემოდის საქართველოში. ჩვენთან ლარი იმიტომ უფასურდება, რომ უცხოური ვალუტის ნაკლებობაა. თუ მეტი უცხოური ვალუტა შემოვა, ეს სტაბილურს გახდიდა ლარის კურსს.

— ანუ მკვეთრი შეფასებები, რომ მთელი ჩვენი ეკონომიკა ვალების გადახდას ემსახურება, უფრო ხმამაღალი ნათქვამია?

— ეს ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ჩვენი საგარეო ვალის ნიშნული არ არის კრიტიკულ ზღვარზე.

— რამდენად არგუმენტირებულია „ნაციონალთა“ ბრალდება, რომ 12 მილიარდ დოლარს გადააჭარბა საქართველოს საგარეო და საშინაო ვალის მოცულობამ მაშინ, როცა საგარეო ვალების 90% დაგროვილია სწორედ ნაცმოძრაობის პერიოდში? ნაციონალებმა რამდენიმე ასეულმილიონიანი ვალი აჰკიდეს საქართველოს, რომელიც დღეს პროცენტების გამო რამდენიმე მილიარდს გაუტოლდა.

— მართლაც ვერ ვიტყვით, რომ ამ ხელისუფლებამ დიდი რაოდენობით საგარეო ვალები აიღო, რადგან მისი დიდი ნაწილი აღებულია წინა ხელისუფლების დროს. ჩემი აზრით, ყველაზე პრობლემური იყო 2008 წელს გამოშვებული 500 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები, რომელიც ძალიან ძვირ პროცენტში ავიღეთ. ცხადია, 2013 წელს ამას ერთბაშად ვერ გადავიხდიდით, ისევ გადაფარვა მოხდა და 2023-ში მოგვიწევს ამის გადახდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ბევრად ნაკლები საგარეო სესხი აიღეს, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ პერიოდში, მაგრამ სესხის აღებაში მე პრობლემას ვერ ვხედავ, მთავარია, სწორი მიმართულებით დავხარჯოთ ეს სესხი. თუ აღებულ საგარეო ვალს ეკონომიკაში ჩავდებთ და ეს შემდგომში შედეგს მოგვიტანს, მაშინ ამით თავისუფლად შეგვიძლია სესხის გადახდა. ამიტომ სესხები არ უნდა ჩავდოთ ისეთ სფეროებში, რომელიც არანაირ უკუგებას არ მოგვცემს.

— ხომ არ ჩაგიტარებიათ კვლევა, დღემდე რაში იხარჯება საშინაო ვალი?

— ამას ვერ გავიგებთ, რადგან ეს თანხები ხვდება ცენტრალურ ბიუჯეტში და შემდეგ აქედან იხარჯება. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც აქედან აღებული ფულით გაიცა ხელფასები. რაც შეეხება საგარეო ვალს, მაგალითად, თუ საგარეო ვალით დავაფინანსებთ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ეს კარგი იქნება, რადგან ეს ინფრასტრუქტურა შემდგომში გამოადგება ჩვენს ქვეყანას. როცა ვსაუბრობთ ევროობლიგაციაზე, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დროს გამოუშვეს, დღესაც არ ვიცით, ის 500 მილიონი რაში დაიხარჯა. თანაც, 500 მილიონი ავიღეთ მაშინ, როცა ბიუჯეტში დეფიციტი არ გვქონდა, ანუ სესხის აღების საჭიროება არ ყოფილა. არის სხვადასხვა ვერსია, რომ მაშინდელმა მთავრობამ წინასწარ იცოდა, რომ აგვისტოში ომი ელოდა და ამის გამო აიღი სესხი. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, მაგრამ დაზუსტებული პასუხი არ არსებობს, რაში დაიხარჯა ის 500 მილიონი ევრო.

მანანა ნოზაძე

განახლებული 100-ლარიანი მიმოქცევაში გავიდა



1 ნოემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვიდა, ის მიმოქცევაში ძველი ემისიების ბანკნოტებთან ერთად იქნება.

100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია კარგად ნაცნობი, ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამავდროულად, ბანკნოტზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით.

100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის.

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

შოთა ხაბარელი
№13. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. სამგორი

ზაზა პაპუაშვილი
№15 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. დიდუბე

ივლიანე წულაია
№16 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. დიდუბე

სოფიო კილაძე
№17 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. ნაძალადევი

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვისდინოს ქართული ოცნება

მიხეილ ყაველაშვილი
№18. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. ნაძალადევი

ზაზა გაბუნია
№19. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. ნაძალადევი

კობა კობალაძე
№20. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. გლდანი

ლევან კობიაშვილი
№21. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. გლდანი

რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე

ყოველ წელს, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის, რომლის შესრულებაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევალება, ბიუჯეტი მტკიცდება.

2016 წელს, აღნიშნული უწყების ბიუჯეტი 950 მილიონი ლარია, რომლის შესრულების შესახებ, სამინისტროს ცნობით, ინფორმაცია ოქტომბერში გამოქვეყნდება.

2015 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით გაიზარდა და 945 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც საბიუჯეტო სახსრები 341 მილიონ 717 ათასი ლარი იყო, გრანტები 74 730, ხოლო კრედიტები 484 მილიონ 553 ათასი ლარი.

სამინისტროს მიერ დამტკიცებულმა გეგმამ პირველი კვარტალის მიხედვით 145 მილიონი ლარი შეადგინა, მეორე კვარტალში — 227 548 100, ხოლო მესამე კვარტალის მონაცემების მიხედვით დამტკიცებული გეგმის ხარჯები 295 970 300 ლარს შეადგენდა.

პირველი კვარტლის მიხედვით, სამინისტრომ რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე 1 325 550 ლარი დაამტკიცა, ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებებისთვის — 73 მილიონი ლარი, გზების მშენებლობაში, მოვლასა და შენახვაში — 34 მილიონი, ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშვენებლობაზე — 37, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე — 42 მილიონი დახარჯა.

რაც შეეხება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციას, ამისთვის სამინისტრომ 17 მილიონი ლარი გამოყო.

მეორე კვარტალში აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად დამტკიცებული გეგმიდან სამინისტრომ 373 მილიონ 666 ათასი ლარი გაწერა, ხოლო მესამე კვარტალის მიხედვით — დაახლოებით 397 მილიონი ლარი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ბიუჯეტის ზრდის დინამიკასა და სახელწიფო ხარჯებზეა საუბარი, —**„2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება 945 მილიონი ლარიდან 950 მილიონ ლარამდე, მხოლოდ 5 მილიონი ლარით, იზრდება (0,48%). საერთო ჯამში ინფრასტრუქტურაზე 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი 1 მილიარდ ლარზე მეტს დახარჯავს“,** — წერია ანგარიშში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახლანდელი მინისტრის ნოდარ ჯავახიშვილის განცხადებით, სამინისტრომ სივრცითი მოწყობის ფარგლებში ამჟამად რუსეთის, ირანის, ერაყისა და პაკისტანის დამაკავშირებელ არტერიებზე დაიწყო მუშაობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში დაეხმარება.

allnews.ge

ზაფხულის ტურისტული სეზონი დასრულდა

აცივებასთან ერთად, საქართველოს ზღვისპირეთში საკურორტო სეზონი საბოლოოდ დასრულდა და ტურისტული სფეროს წლევანდელი შედეგების შეჯამების დროც დადგა. სტატისტიკური მონაცემებით, აჭარას ცხრა თვის მანძილზე 1 132 250 საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა.

ეს ციფრი მხოლოდ აჭარაში რეგისტრირებული სასტუმროების მონაცემებს ეყრდნობა, თუმცა წლის ბოლოს ასევე გვეცოდინება, თუ რამდენი ტურისტი დარჩა არარეგისტრირებულ სექტორშიც. რაც შეეხება საზღვრის კვეთის მონაცემებს, აჭარამ ცხრა თვის განმავლობაში 1 132 250 საერთაშორისო მოგზაური მიიღო. აქედან მხოლოდ საჰაერო გზით რეგიონში შემოსულია 114 169 საერთაშორისო მოგზაური, რაც 76,55%-იან მატებას გულისხმობს. მიმდინარე წელი გამორჩეული იყო რეგიონში საერთაშორისო ფრენების უპრეცედენტო რაოდენობითაც. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მხოლოდ ივლისში 300-ზე მეტი ავიარეისი შესრულდა 22 მიმართულებით.

ხელისუფლება ამ ფაქტს მნიშვნელოვან სარეკლამო კამპანიას უკავშირებს, რაც, ცხადია, არ არის ერთადერთი ფაქტორი ტურისტების მოზიდვის საქმეში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ზღვისპირეთის სტუმართა რაოდენობის ზრდაზე ასახვა თურქეთის ტურისტული სეზონის პრობლემებმაც განაპირობა.

უცხოელი ტურისტების რაოდენობისა და ასევე ჩამოსული ვიზიტორების მხრიდან ხარჯების შემცირების გამო, თურქეთის ტურისტულმა სფერომ 2016 წელს 15 მლრდ დოლარი იზარალა — ამის შესახებ ინფორმაციას, სააგენტო ბიპიენის ცნობით, პორტალი Turizmdatabank-ი ავრცელებს. სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის თურქეთში ჩამომსვლელთა შემცირების საბოლოო მაჩვენებელი 9,5 მლნ-ს მიაღწევს.

გარდა ამისა, იმ ტურისტებმა, რომლებიც ჩადიან თურქეთში, 2015 წელთან შედარებით, 15-25%-ით შეამცირეს ხარჯები. დღეისათვის ერთი უცხოელი ტურისტი თურქეთში, საშუალოდ, 700-800 დოლარს ხარჯავს, რაც ვაჭრობაზე ნეგატიურად აისახება.

თურქეთის სასტუმროების ასოციაციის პრეზიდენტმა ტიმურ ბაინდირმა განაცხადა, რომ სტამბოლის სასტუმროების დატვირთვა, 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, 30%-ით შემცირდა.

„უსაფრთხოებასთან არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შემცირდა ევროპელი ტურისტების რაოდენობა“, — აღნიშნავს ბაინდირი.

ოქტომბრის დასაწყისში თურქეთის ტურისტული ორგანიზაცია TURSA-ს ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ წლის ბოლოსთვის, ტურისტების რიცხვის შემცირების გამო, თურქეთი დაკარგავს 3 მლრდ ევროს. თუმცა Turizmdatabank-ის ექსპერტების დასკვნა ბევრად უფრო პესიმისტურია, თანაც გამოქვეყნებული ინფორმაცია 2016 წლის 9 თვის მონაცემებს ასახავს. შესაბამისად, საბოლოო შედეგი კიდევ უფრო არასახარბიელო იქნება.

ცხადია, ეს მონაცემები პირდაპირ არ აისახება საქართველოზე, თუმცა გარკვეულ ზეგავლენას ტურისტულ ბაზარზე ახდენს. ამასთან ერთად, საგულისხმოა ასევე საერთაშორისო იაფი ფრენების რეისების დამატება, რაც განსაკუთრებით დიდი მოცულობით 23 სექტემბრიდან განხორციელდა ქუთაისის მიმართულებით და რის შედეგებსაც უკვე მომავალი წლისთვის ელიან.

ერთი რამ ფაქტია — ტურისტული სეზონი ამ ეტაპზე დასრულებულია და ამან ასახვა, ნაწილობრივ, ლარის კურსზეც ჰპოვა. რამდენად შეძლებს ტურიზმი შემოდგომასა და ზამთარშიც შეასრულოს სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიმწოდებლის მნიშვნელოვანი ფუნქცია, მომავალი გვიჩვენებს.

ნინო ევგენიძე

ფოსტის ყოფილი შენობა 5 მლნ 750 ათას ლარად გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ“ პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №44-ში მდებარე უძრავი ქონება 5 750 001 ლარად გაყიდა. აუქციონზე გამარჯვებულად 575 ბიჯით შპს „ნევადა“ გამოვლინდა. აღნიშნული უძრავი ქონება „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ პროექტის ფარგლებში იქნა შერჩეული და შეთავაზებული დაინტერესებული პირებისთვის.

აუქციონის პირობების მიხედვით, განახლებულ აღმაშენებლის გამზირზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მინიმუმ 30-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი მოეწყობა. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ინვესტორი 5 300 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. სასტუმრო კომპლექსში სულ მცირე 30 საქართველოს მოქალაქე დასაქმდება.

აღნიშნულ სასტუმროში „საქართველოს ფოსტის“ ექსპონატებისთვის განკუთვნილი საგამოფენო დარბაზი მოეწყობა. რომლითაც 20 წლის ვადით უსასყიდლოდ ისარგებლებს „საქართველოს ფოსტა“. პირველ სართულზე ასევე უსასყიდლოდ განთავსდება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლობაც.

ავადმყოფებს საქართველოში უნდათ მკურნალობა, თიბილოვი კი რუსეთში ერეკება

პაციენტების თბილისში მკურნალობის ასარიდებლად თიბილოვი რუსეთს საკუთარი ავიაციის შექმნაში დახმარებას სთხოვს. მისი სურვილია, ეთნიკურად ოსი პაციენტები რუსეთის ფედერაციის საავამდყოფოებში გადაიყვანონ.

თიბილოვის თქმით, მეზობელ საქართველოში განვითარებულია მედიცინის ზოგიერთი მიმართულება და რესპუბლიკის მოქალაქეები დე ფაქტო ხელისუფლებას პერიოდულად მიმართავენ საქართველოში სამკურნალოდ გაგზავნის თხოვნით. საქართველოში უფრო მალე შეიძლება გამგზავრება, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში და ეს იმ დროს, როდესაც ცხინვალის რეგიონსა და საქართველოს შორის არ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, ჟენევის დისკუსიების მოედნის გარდა.

თიბილოვი აცხადებს, რომ საქართველოში ჯანმრთელობის სერიოზული პროექტები ფინანსდება და მხარდაჭერილია დასავლელი ქვეყნების მიერ. ამდენად, საქართველოში მკურნალობა იძულებითი ზომაა.

თიბილოვის ამ განცხადების მიუხედავად, აღნიშვნის ღირსია, რომ რუსები აღფრთოვანებით არ ხვდებიან მოსკოვში ჩასული ოსების მკურნალობას. რუსეთის საავადმყოფოები ცხინვალელებს მკურნალობაზე უარს ეუბნებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ რუსეთის კლინიკებში არსებობს ლიმიტი, წლის განმავლობაში რამდენ პაციენტს უმკურნალონ. ეს ლიმიტი უკვე ამოწურულია და ცხინვალის ადმინისტრაციას რუსული კლინიკების წინაშე დიდი ვალი დაუგროვდა.

ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის თქმით, თბილისში ტრანსპორტირება გაცილებით მარტივია, ვიდრე ვლადიკავკაზში. ამდენად, ადგილობრივ მოსახლეობას დე ფაქტო მთავრობის მიმართ კითხვები დაუგროვდა, თუ რატომ უშვებენ მათ სამკურნალოდ მაინცდამაინც ვლადიკავკაზში, როცა თბილისში მკურნალობა მათთვის უფასო და მაღალკვალიფიცირებულია?! სწორედ ამიტომ თიბილოვი თავს იმართლებს, ვერტმფრენები არ გვყავს და ოპერატიულად ვერ ვახერხებთ ვლადიკავკაზში პაციენტების გადაყვანასო.

დიმიტრი სანაკოევის ინფორმაციით, წელს სხვადასხვა პათოლოგიებით თბილისში ცხინვალის რეგიონის 550-მა მოქალაქემ იმკურნალა. თუმცა, მთლიანობაში, რამდენ პაციენტს უმკურნალეს თბილისის საავადმყოფოებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია.

ფაქტია, რომ თბილისთან დაახლოების პრობლემა არა მარტო თიბილოვის წინაშე დგას, არამეც აფხაზებიც შეშფოთებული არიან თბილისში ან საქართველოს სხვა ქალაქებში ჩამოსვლის გახშირებით, რის გამოც ყოველწლიურად საქართველოს ბიუჯეტიდან დე ფაქტო ტერიტორიაზე მცხოვრებთა მკურნალობისთვის რამდენიმე მილიონი ლარი იხარჯება.

ჯერ კიდევ 2012 წელს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლეონიდ ლაკერბაია აცხადებდა, რომ აფხაზ ავადმყოფებს საქართველოში სამკურნალოდ აღარ გაუშვებდა. დე ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი კი ირწმუნებოდა, რომ აფხაზეთიდან თბილისში სამკურნალოდ წასვლა ვინმესთან დაახლოების სურვილს არ ნიშნავდა. უბრალოდ, საუბარი იყო ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენაზე.

„ეს არ ნიშნავს, რომ ქართული მედიცინის ტყვეობაში ვართ. მაგალითად, ერთხელ დახმარება ახალშობილს დასჭირდა, მეორედ — ომის ვეტერანს. პაციენტის სოჭში ან მოსკოვში ტრანსპორტირება სახიფათო იყო და საქართველოში გადაიყვანეს“, — აცხადებდა იმ დროს ალექსანდრე ანქვაბი. თუმცა პარალელურად ვრცელდებოდა კონფიდენციური ინფორმაცია, რომ დე ფაქტო პრეზიდენტი ანქვაბი თავად იწვა თბილისის საავადმყოფიში და მას იმ წლებში შუნტირებაც ჩაუტარეს.

მართალია, მკურნალობისთვის აქ ჩამოსულთა ვინაობა არ ხმაურდება, რათა დე ფაქტო ტერიტორიაზე პრობლემები არ შეექმნათ, მაგრამ მარტო 2015 წლის ოთხ თვეში აფხაზეთიდან გადმოსულ 107 ეთნიკურად აფხაზს დაეხმარნენ.

აფხაზეთის უშიშროების ექსმინისტრი, გენერალი **ლევან კიკნაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ თიბილოვის სურვილი, ეთნიკურად ოსი პაციენტები რუსეთის ფედერაციის საავადმყოფოებში გადაიყვანონ, განუხორციელებელია, ვინაიდან ოსებისა და აფხაზების მოსკოვის რომელიმე კლინიკაში უფასოდ მკურნალობას თავად რუსი ხალხი არ დაუშვებს. უფასო თანხების გამოყოფა ვინმეს მკურნალობის მიზნით ასე ადვილი არ არის. შეიძლება, რუსეთმა გამოყოს თანხა და გადმოუგზავნოს ან დაეხმაროს დე ფაქტო ტერიტორიაზე მცხოვრებლებს, მაგრამ წარმოუდგენელია, მოსკოვის რომელიმე კლინიკაში უფასოდ ამკურნალონ აფხაზი ან ოსი.

„რუსეთმა თანხები რომც გამოყოს, ვინ უმკურნალებს ამ ხალხს? ან აფხაზეთში, ან ცხინვალის რეგიონში სად არის სათანადო აპარატურით აღჭურვილი კლინიკები? არც სპეციალისტები ჰყავთ. ასე რომ, თიბილოვის განცხადება უფრო პოპულისტურია და გათვლილია იმ ადამიანებზე, ვინც შეიძლება დაუჯეროს მაგათ და თბილისის ნაცვლად რუსეთში იმკურნალოს. რა თქმა უნდა, თიბილოვის რეკომენდაციას არ დაუჯერებს ის გაჭირვებული ხალხი, რომელთაც არა აქვთ საიმისო სახსრები, რუსეთში იმკურნალონ“, — აცხადებს ლევან კიკნაძე.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია განმარტავს, რომ ეს არის რუსეთის მიერ გამოხატული რბილი ძალის ეფექტი, რათა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთან დამაკავშირებელი ბოლო ძაფიც გაწყვიტოს, ანუ დაასრულოს ყირიმიზაციის პროცესი.

მანანა ნოზაძე

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

ლევან კობერიძე
№22 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
თბილისი. გლდანი

რომან მუჩიაშვილი
№23 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
საგარეჯო

დავით სონღულაშვილი
№24 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.
გურჯაანი

მკითხველთა თხოვნით ჩვენმა გაზეთმა გუშინ დაიწყო საქართველოს მომავალი პარლამენტის წევრთა სიების გამოქვეყნება. დღევანდელ ნომერში ვაგრძელებთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გამარჯვებულთა პორტრეტების ბეჭდვას.

(გაგრძელება ხვალის ნომერში)

ახალქალაქი ორთავიანი არწივით

როგორ იღებს საქართველოს სომხური მოსახლეობა რუსეთის მოქალაქეობას

ჩეხურ გამოცემა „Настоящее время“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომელიც ადგილობრივ სომხურენოვან მოსახლეობას რუსეთში ემიგრაციისაკენ უბიძგებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

„საქართველოს თუ რუსეთის მოქალაქეობა? ახალქალაქის რაიონის სომხურენოვანი მოსახლეობა რთული არჩევანის წინაშე დადგა: ადგილობრივად სამუშაო არ არის, გარდა ამისა, ბევრი სომეხი ჯერ კიდევ კარგად ვერ ფლობს სახელმწიფო ენას — ქართულს, ამიტომ ისინი საქართველოში საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობას ვერ ხედავენ და რუსეთში სამუშაოს საძებნელად მიეშურებიან, სადაც რუსულ პასპორტებს იღებენ. რასაკვირველია, ისინი იძულებული ხდებიან უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, ან ეს ფაქტი დამალონ, რაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს, — ნათქვამია სტატიაში, რომელშიც ერთ-ერთი სომხური ოჯახის — სტეფანიანების ისტორიაა ასახული.

ავტორი ესაუბრება მოსახლეობის წარმომადგენლებს — პენსიონერ ვლადიმირ ქორეფიანს, რომელიც ნოსტალგიით იხსენებს „დიდ საბჭოთა ძმურ ოჯახს“ („ეჰ, რა კარგი იყო საბჭოთა პერიოდი, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყავით!“) უმუშევარ მოვსეს სტეფანიანს („აქ არავითარი პერსპექტივა არ არის. ახალგაზრდა კაცი ოჯახის სარჩენად რუსეთში სამუშაოდ მიდის“), არუთინ ქორეფიანს („რუსეთში რომ იმუშაო, მოქალაქეობის მიღებაა საჭირო“) და სხვებს, რომლებიც დუხჭირ ცხოვრებაზე ლაპარაკობენ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, იგი შეეცადა რაიმე ოფიციალური სტატისტიკური ცნობები მიეღო სამოქალაქო რეესტრიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. „მოსახლეობა ახალქალაქს არა მარტო უმუშევრობის გამო ტოვებს — აქ კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ უფროსმა თაობამ ქართული სახელმწიფო ენა არ იცის. ახალგაზრდობა ასე თუ ისე ფლობს, რადგან სკოლაში ასწავლიდნენ. შესაბამისად, ბევრ მათგანს იმედი აქვს, რომ იქნებ თვითრეალიზება მოახერხოს“.



„Настоящее время“ — **„რადიო თავისუფლება//თავისუფალი ევროპის“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივი მედიაპროექტია. რედაქცია განთავსებულია პრაღაში, კორესპონდენტები მუშაობენ რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყირგიზეთსა და სხვა ქვეყნებში.**

შავ ზღვაში ნატო ძლიერდება... ჩვენ მაყურებლის როლში არ უნდა ვიყოთ!

შავი ზღვის უსაფრთხოების კონცეფციაზე ზოგადი საუბრების შემდეგ ნატო, როგორც ჩანს, კონკრეტული ნაბიჯების ეტაპზე გადადის. როგორც ალიანსის თავდაცვის ორდღიანი მინისტერიალის დასასრულს გაირკვა, ნატო შავი ზღვის აუზში სახმელეთო კომპონენტს ზრდის და მუშაობს საჰაერო და საზღვაო ზომების დახვეწაზე.

„ჩვენი ძალები ნამდვილად მრავალეროვნული იქნება. ვაგზავნით მკაფიო მესიჯს: ნატო დგას, როგორც ერთი ორგანიზაცია და ნებისმიერ ჩვენს მოკავშირეზე თავდასხმა ჩაითვლება ყველა ჩვენგანზე თავდასხმად. ალიანსი აკეთებს იმას, რასაც ამბობს. ჩვენ ვასრულებთ დაპირებებს. დღეს განვიხილეთ შავი ზღვის რეგიონში ნატოს ყოფნის გაძლიერების პროგრესი. მრავალეროვნული ბრიგადა რუმინელების ხელმძღვანელობით ხმელეთზე განთავსდება. ვმუშაობთ საჰაერო და საზღვაო ზომების დახვეწაზე. მოხარული ვარ, რომ რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა სურვილი, წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონში ალიანსის ყოფნის გაძლიერებაში. მათ შორის არიან შეერთებული შტატები, კანადა, ჰოლანდია, გერმანია, პოლონეთი და თურქეთი,“-განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

საქართველო კონცეფციაში ჩართვის მოლოდინშია. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ალიანსის გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალუერ აზიაში ჯეიმს აპატურაი გვაიმედებდა, რომ საკითხის განხილვა საქართველოს მიღმა არ ჩაივლის და უფრო მეტიც, საქართველო აქტიურად იქნება პროცესში ჩართული: **„გვაქვს კონსულტაციები, უკვე მივიღეთ წინადადებები საქართველოდან. შავი ზღვის უსაფრთხოებაზე საუბარი საქართველოს გარეშე არ ჩაივლის. პირიქით, იგი მაქსიმალურად იქნება ჩართული. ვაკეთებთ შეფასებას და ვათანხმებთ ფორმატებს“,**— განაცხადა აპატურაიმ.

რა წინადადებებზეა საუბარი, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა როგორც 4 თვის წინათ „აქცენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი **ვახტანგ კაპანაძე** აცხადებდა, «საქართველო დიდი ხანია, აღარ არის უსაფრთხოების მხოლოდ მომხმარებელი და საკუთარი ნიშა უნდა მოძებნოს». ეს ნიშა კი, მისი აზრით, შეიძლება იყოს შავი ზღვის საინფორმაციო ცენტრის, თვალთვალისა და დაკვირვების, ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება, გარკვეული წვრთნების საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარება, ქართული პორტების გამოყენება ხომალდებისთვის, რომლებიც შავ ზღვაში პატრულირებას ან მორიგეობას განახორციელებენ და ა.შ.

„ტექნიკურად ძალიან ბევრი სამხედრო საშუალებაა ამის გასაკეთებლად. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნიშას ვიპოვით“ - აცხადებდა კაპანაძე.

რაც შეეხება ნატოში უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას, ქართველ ანალიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ის რეალური გეგმაა, რომელსაც ალიანსი რუსული აგრესიის წინააღმდეგ სახავს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა შესაძლოა, უფრო ფართო მასშტაბები შეიძინოს.

„რუსული ბაზები განთავსებულია როგორც ჩვეს ტერიტორიაზე, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში და სომხეთში. ხმელეთიდან საქართველოს დაცვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. რუსეთის შეკავება მხოლოდ შავი ზღვიდანაა შესაძლებელი. ყველას გვახსოვს, რომ როდესაც ომის დროს შავ ზღვაში ამერიკული სამხედრო ხომალდი შემოვიდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაჩერდა რუსული ჯარი. კარგია, რომ ნატო გადაერთო ამ საკითხზე, კარგია, რომ ამისთვის გამოყოფილია რესურსები. როგორც ჩანს, როტაციის პრინციპით შავ ზღვაში მუდმივად იქნებიან ნატოს ხომალდები და ეს იქნება მაქსიმუმი, რაც ჩვენ შეიძლება, მივიღოთ ამ ეტაპზე“,— განაცხადა ანალიტიკოსმა თორნიკე შარაშენიძემ.

შესაძლოა, ნაკლები დანახარჯები დაგვჭირდეს ტექნიკის შესაძენად, მაგრამ მეტი ძალისხმევა დასჭირდება კადრების დაბრუნებას. ძალიან ბევრი თანამშრომელი წავიდა ფლოტიდან.

თავდაცვის ექს—მინისტრი **დავით სიხარულიძე** კი ფიქრობს, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა გააააქტიუროს მუშაობა დიპლომატიური არხებით, რათა გამოიყენოს შესაძლებლობები, რომლებსაც ახალი რეალობა წარმოშობს.

„საფრთხე, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოსთვის და უკრაინისთვის, არამედ მლიანად ევროპული სტაბილურობისთვის, კარგად გაცნობიერდა ნატოს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილების მიმღებ პირთა მიერ. ახლა უაღრესად მნიშვნელოვანია, გავატაროთ ბევრად უფრო აქტიური საგარეო პოლიტიკა, ვიდრე აქამდე, რათა სრულად გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის წარმოშობს. ეს შეიძლება, იყოს მთელი კომპლექსი ღონისძიებებისა, რომელიც დაიწყება ე.წ. მიმღები ქვეყნის შესაძლებლობების განვითარებით, - იქნება ეს სამხედრო ინფრასტრუქტურა, საქართველოს უფრო აქტიური ჩართვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში თუ სხვა“,— ამბობს სიხარულიძე.

ბრიგადის გენერალი, ანალიტიკოსი სამხედრო—პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ამირან სალუქვაძე** კი ფიქრობს, რომ დროა, საქართველომ საზვაო ფლოტის აღდგენაზე დაიწყოს ფიქრი.

„ჩვენ უნდა გავაგრძელოთ თანამშრომლობა, ვეცადოთ, გავზარდოთ საჰაერო და საზღვაო შესაძლებლობები. ბუნებრივია, უნდა მივხედოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი სამუშაოა. ამასთან, ვიფიქრებდი საზღვაო ფლოტის აღდგენაზე, რათა მხოლოდ პასიური მონაწილეები და დამკვირვებლები არ ვიყოთ ზღვაზე. რაც შეეხება ჩვენს სანაპირო დაცვას, მას აბსოლუტურად განსხვავებული ამოცანები და ფუნქციები აქვს: საზღვაო ფლოტს შესწევს უნარი, შეასრულოს საზღვაო ფლოტის ამოცანები, სანაპირო დაცვა კი მას ვერ ჩაანაცვლებს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ ნელ-ნელა მის აღდგენაზე და ამის აფიშირება საჭირო არ არის. 2008 წლის შემდეგ ფლოტის გაუქმება, ისევე, როგორც საჰაერო ძალებისა, ძალიან დიდი შეცდომა იყო და ამან ძალიან დიდი ზიანი მოგვაყენა. მესმის, რომ ეს ძვირად ღირებულია, მაგრამ ყველაზე ძვირი თავისუფლების შენარჩუნებაა. თუ გვინდა თავისუფლება, უნდა გამოვნახოთ რესურსები, მათ შორის - თავდაცვის სამინისტრომაც. ყველაფერი ერთ წელიწადში არ კეთდება. საზღვაო ტექნიკის შეძენამდე ბევრი რამ არის გასაკეთებელი. და თუ ფლოტი გვექნება, დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო დაგვეხმარება, მათ შორის - ამერიკის შეერთებული შტატები. თავის დროზე, როდესაც ფლოტს ვაყალიბებდით, დიდი დახმარება მივიღეთ. ახლა ამ მიმართულებით გაცილებით წინ ვართ და გვაქვს შესაძლებლობა, უფრო ქმედითი დახმარება მივიღოთ. შესაძლოა, ნაკლები დანახარჯები დაგვჭირდეს ტექნიკის შესაძენად, მაგრამ მეტი ძალისხმევა დასჭირდება კადრების დაბრუნებას. ძალიან ბევრი თანამშრომელი წავიდა ფლოტიდან, ასევე საჰაერო ძალებიდან. ნატო გაძლიერდება შავ ზღვაში, ჩვენ კი მაყურებლის როლში უნდა ვიყოთ?! ასე არ გამოვა. ჩვენ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, ისევე, როგორც ავღანეთის მისიაში ვართ ფართოდ წარმოდგენილი.

ავღანეთის თემა კიდევ ცალკე საკითხია. ეს დიდი პრობლემაა შეიარაებული ძალებისთვის. დიდი რაოდენობის ჯარისკაცია მოწყვეტილი საბრძოლო მომზადების ციკლს. ამ საკითხზეც უნდა იყოს საუბარი ჩვენს პარტნიორებთან. სულ ახლახან ისაუბრა ნატოს გენერალურმა მდივანმა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე. დასაფიქრებელია, ახალი აგრესიის შემთხვევაში ჩვენ მას რამდენად მომზადებულები დავხვდებით და ხომ არ განმეორდება იგივე, რაც წლების წინ იყო? რუსები კი გვაქებენ, კარგად მომზადებული ჯარი იყოო, მაგრამ ჩვენ ვმსჯელობთ შედეგებით. ომისთვის მშვიდობიან პერიოდში უნდა ემზადო.

ამასთან, შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესების ფონზე რუსეთთან აქტიური დიალოგია საჭირო. ყველაფერ იმას, რაც ახლა რეგიონში იწყება, რუსეთი სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს. მისგან მოსალოდნელია როგორც ასიმეტრიული, ისე სიმეტრიული პასუხები. ვხედავთ, რომ რუსეთი ყველაფერზე მიდის. ამ ვითარებაში ნებისმიერი დიპლომატიური არხი იძლევა შესაძლებლობას, არსებული მდგომარეობა მაინც შევინარჩუნოთ - აღარ არის საუბარი გაუმჯობესებაზე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მშვიდობის შესანარჩუნებლად, ეკონომიკური განვითარებისთვის და უსაფრთხოების სისტემის გასაუმჯობესებლად. ეს ყველაფერი - იმის პარალელურად, რაც შავი ზღვის რეგიონში ხდება“,— ფიქრობს ბრიგადის გენერალი.

დიანა მუსელიანი
„აქცენტი“

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 17 ოქტომბრის №1-1/541 ბრძანების შესაბამისად.

2014 წლის 4 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფასრგლებში ქ. ჭიათურაში მიმდინარეობს 4 რევერსული გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობა.

ჭიათურის საბაგირო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც 10 000 მეტი პირი სარგებლობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს უნდა ჩაუტარდეს, ჯამური სიგრძე 2,5 კილომეტრია. რეაბილიტირებული საბაგირო გზები ქალაქის ცენტრს გარეუბნებთან დააკავშირებს. ჭიათურის საბაგიროს სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დაიწყება და 2017 წლის დასაწყისში დასრულდება. მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ უძრავი ქონების მესაკუთრეების ნაწილთან ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების არეალში არსებულ ქ. ჭიათურაში, 9 აპრილის ქ. №13-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე მირიან გურულთან ს/კ 38.10.35.212 და მასთან მედიაციის ყველა რესურსი ამოწურულია. შეთანხმება მიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2016 წლის 17 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/541 ბრძანება, რომლის შესაბამისადაც ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე).

იმის გათვალისწინებით, რომ ჭიათურის საბაგიროს მშენებლობა წარმოადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, სახელმწიფოს აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ესაჭიროება მირიან გურულის უძრავი ქონება ს/კ 38.10.35.212, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი 25 კვ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები 18.2 კვ.მ; მის: ქ. ჭიათურაში, 9 აპრილის ქ. №13.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

◎ მსოფლიოს სიახლენი

ტრამპი: კლინტონს რუსეთთან ომი სურს

დონალდ ტრამპი ჰილარი კლინტონს კიდევ ერთ ბრალდებას უყენებს. მისი თქმით, პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი ცდილობს, ვაშინგტონი რუსეთთან ომში ჩაითრიოს.

„მას სირიაში ნამდვილი ომის დაწყება სურს. კონფლიქტი რუსეთთან, რომელიც ბირთვულ იარაღს ფლობს, მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება, რაც არ უნდა დავუშვათ,“-აღნიშნა ტრამპმა.

ჩეჩნეთის ბიუჯეტს შემცირებენ

რამზან კადიროვი ჩეჩნეთის ბიუჯეტის შემცირებით უკმაყოფილოა. ამის შესახებ მან ინსტაგრამის გვერდზე დაწერა.

„ბიუჯეტის ახალი პროექტი ბევრ კითხვას აჩენს. გაურკვეველია, რატომ შეჩერდა ჩეჩნეთის ეკონომიკისა და სოციალური სექტორის დაფინანსება, როდესაც ეს პროექტი ეფექტურად მუშაობდა. თუ ბიუჯეტს შეგვიმცირებენ, რესპუბლიკა ველარ განვითარდება,“ — წერს ჩეჩნეთის ლიდერი.

წინასაარჩევნო სკანდალი ამერიკაში

შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო სკანდალები არ წყდება. ამჯერად სამსახურიდან ტელეკომპანია CNN-ის თანამშრომელი დაითხოვეს. როგორც გაირკვა, ტელესუფლიორზე მომუშავე დონი ბრაზილიამ წინასაარჩევნო დებატებისას ჰილარი კლინტონს სავარაუდო შეკითხვები წინასწარ უკარნახა. პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის საარჩევნო შტაბში მომხდარზე კომენტარს არ აკეთებენ.

ჩინეთში დაკარგულ მაღაროელებს ეძებენ

ჩინეთში სამაშველო ოპერაცია გრძელდება. მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად 20-მდე ადამიანი გვირაბშია ბლოკირებული. მაშველებმა 13 მაღაროელის ცხედარი უკვე იპოვეს. დაკარგულ მაღაროელთა ბედი კი ამ დრომდე უცნობია. სამაშველო ოპერაციაში სახანძრო და სასწრაფო დახმარების სამსახურიც არის ჩართული.

მოსულში შეტაკებები გრძელდება

მოსულის გათავისუფლების ოპერაცია აქტიურ ფაზაში შედის. სახელისუფლო ძალებმა ისლამისტებზე შტურმი უშუალოდ ქალაქში მიიტანეს, რომელსაც ისლამისტები უკვე 2 წელია, აკონტროლებენ. მოსულის გათავისუფლების ოპერაცია 17 ოქტომბერს დაიწყო. ოპერაციაში ერაყის არმიასთან ერთად ქურთული შეიარაღებული ფორმირებები და საერთაშორისო კოალიცია ახორციელებს. ისლამური სახელმწიფოს პოზიციები ყველა მხრიდან ალყაშია მოქცეული.

დაუთვლელი უსახლკაროები

ლილოს თავშესაფარში 104 ბენეფიციარი იმყოფება, შენობა კი 240 უსახლკაროზეა გათვლილი...

საქართველოში არც ერთმა სახელმწიფო უწყებამ არ იცის, რამდენი უსახლკარო ადამიანი ცხოვრობს. ასევე არ არსებობს უსახლკარობის პრობლემის გადაჭრის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში ასევე საუბარია იმაზე, რომ, უსახლკარობის პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, არ ხდება ამ გამოწვევის წინაშე მდგომ პირთა საჭიროებების, ასევე უსახლკარობისა თუ სათანადო საცხოვრისის არქონის ფორმების და გამომწვევი მიზეზების შესწავლა.



ნინო ორი შვილის დედაა. მეხუთე წელია, ბავშვებთან ერთად თავს აფარებს მეტრო „ღრმაღელესთან“ მდებარე მერვე საავადმყოფოს კარდიოლოგიის განყოფილების მიტოვებულ შენობას, სადაც ასევე ცხოვრობენ სოციალურად დაუცველი სხვა ოჯახები და დევნილები.

„ძალიან ცუდი პირობებია! თუ ბავშვები ვერ მოასწრებენ გაკვეთილების მომზადებას დღის სინათლეზე, მაშინ უწევთ სანთლის შუქზე მეცადინეობა. არ გვაქვს დენი! არ გვაქვს წყალი, გაზი... კანალიზაციაც კი არ გვაქვს!“ — უთხრა უსახლკარო ქალმა რადიო „თავისუფლებას“.

ნინოსა და მისი შვილების მდგომარეობაში იმყოფება ბევრი სხვა, არაერთი ოჯახი, თუმცა, თუ რამდენია მათი ზუსტი რაოდენობა, არავინ იცის. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, უსახლკარობა და სათანადო საცხოვრისის არქონა საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, თუმცა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეებში ეს საკითხი არასათანადოდ არის აღიარებული. ორგანიზაციის წარმომადგენლის ლინა ღვინიანიძის თქმით, სახელმწიფოს არა აქვს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, არა აქვს ხედვა და ამოცანები, რომლებსაც მან უნდა უპასუხოს:

„არც გაცხადებული და არც არაფორმალური სტრატეგია არ არსებობს, რაც, პრინციპში, ამ პრობლემის მოგვარებას ძალიან დიდი ხნით გადაავადებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ მთავარი, რაზეც სახელმწიფომ უნდა იმუშაოს, არის სტრატეგიის შექმნა, რაც დაეფუძნება უსახლკაროთა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემებს. კვლევის შედეგად ასევე დავინახეთ, რომ უსახლკარობის პრევენციის პოლიტიკა ასევე არ გააჩნია სახელმწიფოს და ეს არის ერთ-ერთი მთავარი ჩავარდნა სახელმწიფო პოლიტიკაში. მისი ისედაც ფრაგმენტული პოლიტიკა მთლიანად რეაგირებითია, მთლიანად არის მორგებული უსახლკარო პირთა ძალიან მწვავე საჭიროებებს და მას არა აქვს პრევენციული შინაარსი“.

ლინა ღვინიანიძის თქმით, დღეს არსებული სახელმწიფო პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ ვერ აზღვევს უსახლკაროებას და მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენის რისკებს, ასევე ვერ სთავაზობს უსახლკაროებს ისეთ სახელმწიფო სერვისებს, რომლებიც უზრუნველყოფდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას.

„ამდენად ეს, როგორც პოლიტიკის, ასევე იმპლემენტაციის დონეზე, უსახლკარობა არის პრობლემა, რომელსაც დღეს სახელმწიფო საერთოდ ვერ პასუხობს. ასევე კვლევის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა არის ის, რომ უსახლკარობის საკითხი განსაკუთრებულად მიემართება სხვადასხვა მოწყვლადობის ჯგუფებს, როგორებიც არიან ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირები, როგორებიც არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან გამოსული 18 წელს მიღწეული პირები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები“, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ლინა ღვინიანიძემ, რომლის თქმით, უსახლკარობის მიზეზთა ჩამონათვალი უფრო ვრცელია. აი, რა დაასახელა ნინომ — ორი შვილის უსახლკარო დედამ, რომელიც საავადმყოფოს მიტოვებულ შენობაში ცხოვრობს:

„ჩემი საკუთარი სახლი, მშობლების სახლი, დაინგრა მიწისძვრის შედეგად. ქმრის ოჯახში ვცხოვრობდი, შემდეგ ისე მოხდა, რომ დავცილდით ერთმანეთს. ხშირად სვამდა და ბავშვებისთვის იყო გაუსაძლისი პირობები. გავედი ქირით, მაგრამ ქირას რომ ვერ ვიხდიდი, მომიწია ამ შენობაში მოსვლა. აქ უკვე ცხოვრობდნენ ე.წ. შეჭრილები და მათ დამითმეს ერთი ოთახი. მას მერე აქ ვიმყოფები“.

უსახლკარობის მიზეზთა შორის ასევე დასახელებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ეწირება საცხოვრებელი სახლები, თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი თეა გვარამაძე ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამუშავების შემდეგ, ძნელი დასაჯერებელია, რომ, სამედიცინო ხარჯების გამო, ვინმე ჰყიდდეს საცხოვრებელს.

„შეიძლება წინა წლებში ეს პრობლემა მწვავედ იდგა, იმიტომ, რომ სტაციონარული მომსახურება და ოპერაციები ძალიან ძვირი ჯდებოდა და სახელმწიფო ამას არ აფინანსებდა, თუმცა დღეს ეს პრობლემა არ არის. სოციალურად დაუცველებს შეუზღუდავად აქვთ გადაუდებელი ჯანდაცვის პაკეტი“, - უთხრა რადიო „თავისუფლებას“ თეა გვარამაძემ, რომლის თქმითაც, მუშავდება და ბოლო ეტაპზეა უსახლკარობის დაძლევის სახელმწიფო სტრატეგიის მიღების პროცესი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი, ძირითადი დატვირთვა მოდის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე, რომლებიც თავიანთი რესურსების შესაბამისად მოქმედებენ.

მიუსაფარი პირებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ქუჩაში, ღია ცის ქვეშ, არსებობს ლილოს თავშესაფარი. 2015 წლის დეკემბერში აშენდა, მას შემდეგ, რაც კარვები მოიშალა მოსკოვის პროსპექტზე. იქ მიდიან ის პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან თბილისში და არიან მიუსაფრები...

„იქნება ეს ბინის ქირა, სოციალური საცხოვრისი და ა.შ. დღეის მდგომარეობით, უსახლკაროდ ითვლება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც რეგისტრირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, როგორც უსახლკარო. მეორე დეფინიცია, რომელიც არსებობს დღევანდელ კანონმდებლობაში — ეს არის „მიუსაფარი პირი“, — ბენეფიციარები, რომლებიც, მაგალითად, ლილოს თავშესაფრისთვის არიან განკუთვნილი. ეს არის ჭერის არმქონე პირი, რომელსაც არ გააჩნია შემოსავალი და ა.შ.“

თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა უსახლკარო პირად რეგისტრაციის წესი. ერთადერთი გამონაკლისია თბილისის მუნიციპალიტეტი, რომელშიც ეფექტიანად მუშაობს „უსახლკაროს“ სტატუსის მიმნიჭებელი კომისია. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის თქმით, განცხადება დაწერილი აქვს 1500 ადამიანს, სტატუსი კი მიენიჭა 250-ს:

ლილოს თავშესაფარში ამჟამად 104 ათასი ბენეფიციარი იმყოფება, სულ შენობა კი 240 ბენეფიციარზეა გათვლილი. 2016 წელს თბილისის ბიუჯეტიდან უსახლკარობის პრობლემატიკის მოგვარებაზე მილიონ ორასი ლარი გამოიყო, თუმცა, ანგარიშის ავტორთა თქმით, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ვითარება უკიდურესად მძიმეა: სახელმწიფოში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირების მუნიციპალური და ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზა. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სხვადასხვა ობიექტებში შეჭრილი პირების უსაფრთხო საცხოვრებელი პირობებითა და სოციალურად დაუცველი ოჯახების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის საკითხი. დამატებით პრობლემას წარმოადგენს უსახლკარო პირთა მიზნობრივი დახმარებისთვის სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებში გამოყოფილი ფინანსების ნაკლებობა.

ჯიმშერ რეხვიაშვილი
რადიო „თავისუფლება“

◎ უნივერსიადა



ბრინჯაოს მედალია

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე არჩილ თურმანიძემ თურქეთის ქალაქ ჩორუმში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე უნივერსიტეტებს შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბათუმელმა ფალავანმა 66 კგ წონით კატეგორიაში თავდაპირველად მოლდოველი მაქსიმ მამულატი ქულებით აშკარა უპირატესობით 9:0 დაამარცხა, მომდევნო წრეში უნგრელ ბენს ბალატანოშს მოუგო მინიმალური ანგარიშით 1:0, ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლაში წააგო ბელარუს სოსლან დაუროვთან 2:4, ბრინჯაოს მედლისათვის შეხვედრაში ფრანგ მამადასა სილს 7:4 სძლია და საქართველოს ნაკრებს ერთადერთი მედალი მოუტანა.

საქართველოს სახელით ხალიჩაზე კიდევ ორი ფალავანი – ბათუმელი მირზა ვანაძე (59) და სენაკელი მურთაზ ჩაბრავა (75) გავიდნენ, თუმცა, საპრიზო სამეული მათ გარეშე შეივსო. ჩაბრავას ერთი გამარჯვება დააკლდა მედლის მოსაპოვებლად – თურქ ფურქა ბაირაქთან დათმო შეხვედრა და მეხუთე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა.

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნისა

სახელოვანი ქართველი ძიუდოისტის, ამ სახეობაში ევროპის პირველი ჩემპიონის – ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალური ტურნირი მერვედ გაიმართა გორში. ჭიდაობის კომპლექსური სასპორტო სკოლის დარბაზში თავი მოიყარეს ჭაბუკებმა.

ისინი მედლებისთვის 9 წონით კატეგორიაში იბრძოდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გაგა ჭულუხაძე (46 კგ, გორი), თორნიკე მარგველაშვილი (50, ქარელი), ლუკა კაპანაძე (55, მარნეული), დათო ბზიშვილი (60, გორი), გიორგი ჩიხელაძე (66, თბილისი), გიორგი შერაზადიშვილი (73, თბილისი), გოჩა ღვაჩლიანი (81, ქუთაისი), მიხეილ ბექაური (90, თბილისი), საბა ინანეიშვილი (+90, ქუთაისი).

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ჭკუამხიარული „პამპიტა“

არგენტინელ მოდელს ანა კაროლინა ანდოჰანის, მეტსახელად „პამპიტას“, ვინმემ რომ ჰკითხოს, 2012 წლამდე რას აკეთებდიო, იგი, ისევე როგორც მავანი ქართველი

გარემოსდამცველი, უპრობლემოდ იტყვის, რომ გაგანია სექსით იყო დაკავებული და არამხოლოდ 2012 წლამდე...

„პამპიტა“ რამდენიმე წლის წინათ ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელის მაქსი როდრიგესის გულისსწორი იყო და საქმე კინაღამ ქორწინებამდეც კი მივიდა, თუმცა... რთული სათქმელია, რა მოხდა მაქსის ტვინში, როცა ერთ მშვენიერ, მაგრამ მოწყენილ დღეს, არგენტინელმა ფეხბურთელმა „პამპიტა“, რომ განაგდო ვითარცა მოსისხარი.

ამის შემდეგ მრავალი დილა გათენდა და დაღამდა, „პამპიტა“ კი ძველებურად ჭკუამხიარულ და სექსუალურთა შორის უსექსუალურეს ქალად დარჩა და კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა დარჩენილიყო? არჩევნების მეორე ტური მას არ ადარდებს, ლარის ვარდნა და პენსიის მატება.

რუსტომ რაჭველიშვილი

◎ ჩოგბურთი

ასეულს მიუახლოვდა

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი შარშან 19 ოქტომბერს მსოფლიო კლასიფიკაციაში 86-ე იყო. მართალია, მერე თანდათან დაშორდა ასეულს, მაგრამ ბოლო დროს მიღწეული წარმატებების წყალობით ისევ დაწინაურდა და 610 ქულით 101-ე საფეხურზე აინაცვლა.

ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციების განახლებულ რეიტინგებში დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

ქალები

ერთეულები. 197 (196). სოფიო შაფათავა (277 ქულა), 274 (272). ეკატერინე გორგოძე (171), 449 (449). მარიამ ბოლქვაძე (73), 529 (528). სოფიო ქვაცაბაია (53), 789 (794). ოქსანა კალაშნიკოვა (18), 1084 (1086). ანა შანიძე (7).

წყვილები. 43 (43). კალაშნიკოვა (1755), 197 (198). შაფათავა (342), 273 (275). გორგოძე (221), 409 (413). ქვაცაბაია (122), 548 (545). ბოლქვაძე (73), 725 (722). თათია მიქაძე (37), 1143 (1148). შანიძე (10), 1279 (1286). ლანა კენჭიაშვილი (3).

ვაჟები

ერთეულები. 420 (425). ალექსანდრე მეტრეველი (97), 807 (806). გიორგი ცივაძე (22), 1754 (1753). ალექსანდრე ბაქში (1), 1754 (1753). შოთა მეფარიძე (1), 2067 (2059). გიორგი ჯავახიშვილი (1).

მიმდინარე კვირას ქართველი ჩოგბურთელები რამდენიმე ტურნირში იასპარეზებენ: სოფიო შაფათავა ჩინეთში იმყოფება და ჩენჟოუს 25.000-იან შეჯიბრებაში ჩაებმება. ინგლისური შეფილდის, თურქული ანტალიისა და ეგვიპტური შარმ ელ შეიხის 10.000-იან ტურნირებში, შესაბამისად, მარიამ ბოლქვაძე, სოფიო ქვაცაბაია და გიორგი ცივაძე ითამაშებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ისევ გვეწდობიან

ძართულ მსაჯთა კორპუსს ფიბა-სგან მორიგი მატჩები მოუვიდა, რომლებსაც ჩვენი მსაჯ-კომისრები მოემსახურებიან. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, კომისარ მერაბ რატიშვილსა და არბიტრ მაკა კუპატაძეს ნოემბრის თვესა და ზამთრის პირველ დღეს შემდეგი თამაშების მომსახურება მოუწევთ:

მსაჯი

მაკა კუპატაძე

19 ნოემბერი. ანკარა (თურქეთი). ქალთა ევრობასკეტის შესარჩევი მატჩი: თურქეთი-ბოსნია.

23 ნოემბერი. კურსკი (რუსეთი). ქალთა ევრობასკეტის შესარჩევი მატჩი: რუსეთი-საბერძნეთი.

1 დეკემბერი. ანტაკია (თურქეთი). ქალა ევროლიგა: ჰათაი (თურქეთი) – ვილნიოვ დასკი (საფრანგეთი).

კომისარი

მერაბ რატიშვილი

2 ნოემბერი. კრასნოიარსკი (რუსეთი). ფიბა ევროპის თასი. ენისეი (რუსეთი) – სიგალ პრიშტინა (კოსოვო).

16 ნოემბერი. სტამბოლი (თურქეთი). ფიბა ევროპის თასი: დემირ ინშაათი (თურქეთი) – ენისეი (რუსეთი).

19 ნოემბერი. კლუჟი (რუმინეთი). ქალთა ევრობასკეტის შესარჩევი მატჩი: რუმინეთი-ისრაელი.

1 დეკემბერი. სამსუნი (თურქეთი). ქალთა ევროპის თასი: სამსუნი (თურქეთი) – დინამო ნოვოსიბირსკი (რუსეთი).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„ჩელსი“ დემბელეზე მონადირეებს შეუერთდა

გლაზგოს „სელტიკის“ ნიჭიერი მოიერიშით მუსა დემბელეთი ლონდონის „ჩელსიც“ დაინტერესდა – იუწყება ბრიტანული გამოცემა The Sunday Express-ი.

აღნიშნული წყაროს ცნობით, ლონდონელები მზად არიან, რომ 20 წლის შემტევში 40 მილიონი გირვანქა გაიღონ. „ჩელსის“ გარდა, მუსათი „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ სიტი“ და მადრიდის „რეალი“ ინტერესდებიან.

დემბელემ მიმდინარე სეზონში შოტლანდიური გრანდის მაისური 22-ჯერ მოირგო და 15 გოლი გაიტანა. მას „სელტიკთან“ მოქმედი კონტრაქტი 2020 წლამდე აკავშირებს.

გიორგი შოთაძე

◎ ფორმულა-1

ჰამილტონმა მექსიკის დიდი პრიზი მოიგო

ლუის ჰამილტონმა მექსიკის დიდი პრიზის რბოლაშიც გაიმარჯვა და ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის კლასიფიკაციაში მორიგი 7 ქულით შეამცირა ჩამორჩენა თანაგუნდელ ნიკო როსბერგთან, რომელმაც რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა. მათ შორის ქულათა შორის სხვაობა ახლა 19 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დარჩენილ სამ რბოლაშიც, ადგილებს ამავე თანმიმდევრობით დაიკავებენ, ჩემპიონი ისევ ბრიტანელი გახდება.



ჰამილტონმა პოულიდან აიღო სტარტი და მიუხედავად იმისა, რომ პირველივე მოსახვევში შეცდა, რის გამოც მისი მოჭრა მოუხდა, ბოლომდე წინ არავინ გაუშვა. მცირე ხნით მოწინავეობა მხოლოდ მაშინ დათმო, როცა პირველი პიტ სტოპი შეასრულა. სხვა მხრივ, მის ლიდერობას საფრთხე ერთხელაც არ შექმნია. ეს ამ სეზონში ინგლისელის მერვე, კარიერაში კი 51-ე გამარჯვებაა, რითაც ის ფრანგ ალენ პროსტს გაუტოლდა. მათ წინ მხოლოდ მიხაელ შუმახერია, ვის ანგარიშზეც 91 მოგებული დიდი პრიზია.

რბოლა ძირითადად ერთფეროვანი გამოდგა, თუმცა, ნამდვილი ტრილერით დასრულდა და მისი შედეგები სწორედ ამის შემდეგ შეიცვალა. მესამე და მეოთხე ადგილები მაქს ფერსტაპენმა და სებასტიან ფეტელმა დაიკავეს, მეხუთეზე კი დანიელ რიკიარდო გავიდა, რომელმაც ფინიშამდე ორი წრით ადრე ფეტელს შეუტია და გასწრებაც შეეძლო, მაგრამ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა აგრესიული მანევრით მოუჭრა გზა და ავსტრალიელს გასწრების მადა გაუქრო.

ბადრი იაშვილი

◎ სულიერება

ღირსი მამა გაბრიელი

აღმსარებელი და სალოსი

2 ნოემბერს, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდი ქართველი ღირსი მამის, აღმსარებელისა და სალოსის, არქიმანდრიტ გაბრიელის ხსენებას.

ცნობილია, რომ არქიმანდრიტი გაბრიელი, ბავშვობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, დაიბადა თბილისში, 1929 წლის 26 აგვისტოს, პატარა გოდერძი ჩვილობაშივე მონათლეს წმინდა ბარბარეს ტაძარში. მისი ნათლია იყო ყოფილი მოწყალების და თამარ ბეგიაშვილი. დაახლოებით ორი წლის ყოფილა, როცა მამა მოუკლავთ. დედა – ბარბარე (შემდგომში მონაზონი ანა), 14 წლის გათხოვილა. პირველი ქორწინებიდან 3 შვილი – ემა, მიქაელი და გოდერძი ჰყოლია. როცა მეუღლე მოუკლეს, ის 22 წლისა ყოფილა.

ბავშვობიდანვე ღვთის რჩეული იყო პატარა გოდერძი. არ უყვარდა თანატოლებთან თამაში.

გოდერძიმ სკოლაში მხოლოდ ექვსი წელი ისწავლა. მას დრო არ რჩებოდა სკოლის საგნებისთვის, რადგან მთელი დღეები სახარებას კითხულობდა. მღვდელიც მოძებნა, რომელმაც, წიგნები და ლოცვები მისცა, თანდათან მორწმუნე მრევლიც გაიცნო...

მამა გაბრიელი იგონებდა: **„ერთხელ სახლის აივანზე ვიჯექი, როცა რაღაც ხმამ მიკარნახა, „ცას ახედეო"; ავდექი, აივნის ნაპირთან მივედი, ავიხედე და ვხედავ, ცაზე დიდი ნათლით მოსილი ჯვარი იყო გამოსახული. მაშინ ვერა, ახლა კი ვიცი, რომ ეს ჯვარი იყო".**

მამა გაბრიელს ღვთივ სათნო ცხოვრებით საღმრთო გამოცხადების მადლი მიენიჭა. მეორე მსოფლიო ომის დროს ხალხი მასთან მიდიოდა, იქნებ დაკარგული ახლობლების თაობაზე რაიმე გვითხრასო. საოცარი იყო ის, რომ თორმეტი წლის ბავშვი ყველას ამშვიდებდა და უქადაგებდა: **„ეკლესიაში იარეთ, ქრისტეს არ მოწყდეთ და სულის ცხონება არ დაკარგოთო".**

1971 წლის 14 ოქტომბერს მამა გაბრიელი ფეხით გაემგზავრა მცხეთაში, პატრიარქმა ეფრემ II ჰკითხა, იყო თუ არა მზად ზიარებისთვის. თანხმობა მიიღო, აკურთხა, რომ ეწირა. წირვის შემდეგ მიტროპოლიტ ილიას (შემდგომში პატრიარქი ილია II) თანხმობით სემინარიის მოძღვრად დანიშნეს.

მოგვიანებით მამა გაბრიელმა სხვა ღვაწლი იტვირთა, თურმე მას 1987 წელს უფლისგან ჩვენება მიუღია, სამთავროში ხალხისთვის ემსახურა.

უკვე 1995 წლიდან ჯანმრთელობაშერყეული მოძღვარი ბავშვური სიხარულით ესაუბრებოდა კელიაში მისულ ადამიანებს...

მამა გაბრიელი ანდერძისამებრ დაასაფლავეს.

ამჟამად ის სამთავროშია გადაბრძანებული.

გიული ლიპარტია

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მსურველთა მიღება დაიწყო

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიღება იწყება. ოთხი წლის განმავლობაში ჯარისკაცები შეიარაღებულ ძალებში პროფესიული უნარ-ჩვევებს უცხოელი და ქართველი ინსტრუქტორების დახმარებით აიმაღლებენ. ჩაერთვებიან საერთაშორისო ოპერაციებში. რეკრუტის სტატუსის მისაღებად სამხედრო მოსამსახურეები ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტს ჩააბარებენ და ამისშემდეგ 10-კვირიან საბრძოლო მომზადების კურსს გაივლიან. წარმატებული სამხედროები 4 წლის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებში თანამდებობებზე დაინიშნებიან.

გახსენება

სავლე შარიქაძე

40 დღის წინათ უამრავმა გულშემატკივარმა ორი სამყაროს გზაგასაყართან მივაცილეთ და საუკუნო სასუფეველში დავულოცეთ გზა შესანიშნავ პიროვნებას, სახელოვან მამულიშვილს, შარიქაძეების საგვარეულოს ერთ-ერთ საპატიო წარმომადგენელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ სავლე შარიქაძეს.

დღეს პატივი მივაგეთ მის ნათელ ხსოვნას, ყვავილებით შევამკეთ საფლავი, მუხლი მოვიყარეთ და გამოვხატეთ ღრმა პატივისცემა და მოკრძალება. მან მოკლე დროში გაიარა შრომითი საქმიანობის, სამხედრო სამსახურის, სამამულო ომის რთული გზა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ისტორიის ინსტიტუტში ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილშობილებით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით, სამართლიანობით, საქმისადმი ერთგულებითა და მაღალი პროფესიონალიზმით. ასობით მეცნიერულმა ნაშრომმა დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა ისტორიკოსთა ფართო წრეში.

ღვთისაგან ბოძებული მადლიერება, ნიჭი და უნარი ქართველი ხალხისა და სამშობლოს სამსახურს შესწირა.

ბ-ნი სავლე ყველას დაგვაკლდა, პირველ რიგში ღირსეულ ოჯახს და მისგან დავალებულ სანათესაოს. წავიდა ვალმოხდილი, მებრძოლი სულის, კეთილი, პატიოსანი, ტკბილმოუბარი, ხალასი იუმორით დაჯილდოებული კარგი ქართველი. დაგვიტოვა ტკბილი მოგონებები.

გვჯერა, რომ ბ-ნი სავლე პირნათლად წარსდგება უფლის წინაშე, სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებს წმინდანთა სავანეში ღირსეულ წინაპრებს შორის და ყველას დაგვლოცავს.

იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე.

თემურ შარიქაძის ოჯახი

განცხადება

2016 წლის 23 დეკემბერს, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში გაიმართება მდ. აჭარისწყალზე შუახევი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2016 წლის 23 დეკემბერი, 12 საათი, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1;
- 2016 წლის 23 დეკემბერი, 16 საათი, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: თამარ მეფის ქუჩა №30

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1);
- შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: თამარ მეფის ქუჩა №30)
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს ოფისში - ქ. ბათუმი, ირაკლი აბაშიძის ქ. №6;
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს ოფისში - ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №2;
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს ხულოს საინფორმაციო ცენტრში - ხულოს მუნიციპალიტეტი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა (გამგეობის შენობის გვერდით);
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას"-ს ვებ გვერდზე www.agl.com.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო გაგუა. ტელ: 555 95 95 10; E-mail: nino.gagua@agl.com.ge; ino@agl.com.ge.

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს ადმინისტრაცია

აქტიური პროცესები ნოემბერში

ნოემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 2, 9, 12-14, 21-22, 25, 29 და 30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლოვანებისა და ძარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის მატება და სოციალური დაძაბულობა.

2 – მთვარის სატურნთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. დიდია მცირე თეძოებისა და სახსრების დაავადებათა წარმოშობის საფრთხე, სისხლძარღვთა სნეულებათა გამძაფრება. რეკომენდებულია სიცივისთვის თავის მორიდება.

3 – მთვარის ვენერასთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. არ არის გამორიცხული ყელის ტკივილი, საჭმლის მონელების სისტემის მოშლა, თირკმლებისა და ღვიძლის დაავადებათა გამძაფრება. საჭიროა ცხიმიანი საკვებისა და ალკოჰოლის მიღებაზე უარის თქმა.

5 – მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. დიდია სახსრებში ანთებითი პროცესების დაწყება, საშარდე გზების ანთება და გაციება. რეკომენდებულია სიცივის მორიდება, ფიზიკური დატვირთვებისგან თავის შეკავება.

6 – მთვარის მარსთან შეერთება თხის რქის თანავარსკვლავედში. შესაძლებელია თავის, კბილებისა და სმენის ორგანოთა დაავადებების წარმოშობა, თავის ტკივილები და უძილობა. ეცადეთ, მოერიდოთ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვებს.

7 – მთვარის პირველი მეოთხედი. შესაძლოა, არტერიული წნევის თამაში, ძილის დარღვევა, თვალებისა და ნერვული სისტემის დაავადებათა გამძაფრება. ნუ გადაიტვირთავთ ფეხებსა და თვალებს.

9 – ნეპტუნთან დაღმავალ კვანძში შეერთებული მთვარე თევზების თანავარსკვლავედში. შესაძლოა, გაციება და ინფექციული დაავადებები, ფეხის ტერფების ტკივილი. გამორიცხული არ არის ფსიქიკურ დაავადებათა გამძაფრება.

12 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, თავის, თვალების, კბილებისა და სმენის ორგანოთა დაავადებების წარმოშობა. რეკომენდებულია ძილისა და დასვენების რეჟიმის დაცვა, გადატვირთვისგან თავის მორიდება.

14 – ახალმთვარეობა, მთვარის პერიგეი. დიდია ინსულტებისა და ინფარქტების წარმოშობის, ლორორგანოთა, ნერვული სისტემის, ფილტვებისა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა გამძაფრების ალბათობა.

21 – მთვარის ბოლო მეოთხედი. შესაძლოა, საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლა. საჭირველია ცხოველური წარმოშობის საკვების ოდენობის შემცირება.

25 – მთვარის იუპიტერთან შეერთება სასწორის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის, ღვიძლის მუშაობის დარღვევა. რეკომენდებულია დიეტის დაცვა, ალკოჰოლსა და ცხარე საჭმელზე უარის თქმა.

29 – ახალმთვარეობა. გამორიცხული არ არის საკვებით მოწამლვა, თეძოების სახსრებთან და სუნთქვის ორგანოებთან პრობლემების წარმოშობა. მოერიდეთ გაციებას.

30 – მთვარის შეერთება სატურნთან მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. შესაძლოა, ძვლებისა და სახსრების ტკივილების, სასუნთქ გზებთან, ღვიძლთან და ვენებთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა. მოერიდეთ გაციებას, დაიცავით დიეტა.

გილოცავთ!

შესანიშნავ პიროვნებას, ცნობილ ჟურნალისტს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ბატონ

როლანდ ჯალაღანიას

გილოცავთ დაბადების დღეს.

გისურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

თქვენთვის ჩვეული წარმატებებით გევლოთ მთელი სიცოცხლე, ბატონო როლანდ!

იხარეთ, იბედნიერეთ.

დიდი პატივისცემით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები:

ედუარდ კავთიძე, გიორგი ლაგვილავა, ნანული გუნია, ნინო ჯანჯღავა, დალი ცხაკაია.

გფარავდეს ილორის მადლი!

უახლოეს მეგობარსა და კოლეგას, ცნობილ პუბლიცისტს, ესეისტს, მთარგმნელსა და ჟურნალისტს, დიდებული ოჯახის თავკაცს

როლანდ ჯალაღანიას

გულითადად ვულოცავ დაბადების საიუბილეო თარიღს — 75 წლისთავს და ვუსურვებ, მარადჟამს წყალობდეს მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთის სახელის მიმრქმელი ილორის ღვთის სახლი, რომელიც, როგორც მრავალი სხვისთვის, ჩემი გვარისთვისაც ოდითგან დღემდე მთავარი სალოცავია.

იდღეგრძელე ჩემო როლანდ,შენს ოჯახთან, სანათესაოსთან, სამეგობროსთან და მკითხველ-განმკითხველებთან ერთად! იხარე მრავალჟამიერ!

ალექსანდრე შენგელია

მეგობრები და კოლეგები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან გულწრფელად უერთდებიან საყოველთაო მილოცვებს მზიანი გულით შემკული ვაჟკაცის, ჯავარიანი სიტყვით მადლმოსილი ჭეშმარიტი ჟურნალისტის

როლანდ ჯალაღანიას

დაბადების დღის გამო.

◎ ანეკდოტები

შტირლიცი ბერლინში რაიხსტაგის შენობასთან შეჩერდა და შეუმჩნევლად მიმოიხედა. გარეგნულად მას არაფერი ემჩნეოდა, მაგრამ გული ფარსაგს ეუბნებოდა: იგი გუმანით გრძნობდა, რომ რაღაცით თავს გასცემდა, რომ საბჭოთა მზვერავი იყო,

თუმცა კი ვერაფრით მიმხვდარიყო, რა იყო ეს — ჯერაც დაუკეცავი პარაშუტი ზურგსუკან, წითელარმიელის ფორმა თუ მკერდზე მოელვარე საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი.

* * *

მონღოლმა მეცნიერებმა ახალი მომაკვდინებელი იარაღი — თუჯის ბომბი — შეიმუშავეს. მისი მოქმედების ფართი ბომბის რადიუსს უდრის!!!

* * *

ძერათმიანი მანდილოსანი ტექნიკის მაღაზიაში გამყიდველს მიმართავს:

— მითხარით, გენაცვალე, ეს ორი მობილური ტელეფონი აბსოლუტურად ერთნაირია, ფასი კი სხვადასხვა აქვს რატომ?

— იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მათგან ერთ-ერთი ვიდეოკამერაა, მეორე კი — ფოტოაპარატი...

* * *

იდეალური ცოლ-ქმრული წყვილის წარმოსახვითი საუბარი:

ცოლი:

— მოდი, ჩემო კარგო, დაჯექი, ლუდი და არაყი დალიე!

ქმარი:

— რას ამბობ, ჩემო სიხარულო, სარეცხიც გასაფენი მაქვს და იატაკიც მოსაწმენდი. სადა მცალია დასაჯდომად!

კოკო შანელი – მისი სუნამო, მოდა, ჰარამხანა, ჯაშუშობა...

მე-20 საუკუნის ფრანგული და მსოფლიო მოდის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი კანონმდებელი გაბრიელა შანელი, რომელსაც მეტსახელი „კოკო“ (კმაყოფაზე მყოფი ქალი) 19 წლის ასაკში, მდიდარმა ცხენოსანმა ოფიცრებმა მოუგონეს, რომლებიც იმ კაფეს მუდმივი კლიენტები იყვნენ, სადაც ახალგაზრდა ლამაზმანი მღეროდა, 1883 წელს დაიბადა.

ამ კაფედან დაიწყო ნორჩმა კოკომ თავისი ზეასვლა მაღალ საზოგადოებაში. წვრილმანებით მოვაჭრე ალბერ შანელის მრავალშვილიანი ოჯახი — ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი — მანამდე მთელ საფრანგეთს უვლიდა და სადაც მოეხელთებოდა იქ ცხოვრობდა. როცა გაბრიელა 12 წლისა იყო, დედა გარდაეცვალა, ამიტომაც მამამ ქალიშვილები მონასტრის თავშესაფარში ჩააბარა, სადაც ისინი მონაზვნებს ემსახურებოდნენ. რომ წამოიზარდა, მონაზვნებმა გაბრიელა სამკერვალო ატელიეში მიაბარეს, სამუშაოსგან თავისუფალ დროს კი იგი კაფეში მღეროდა, სადაც მერე შეძლებული საყვარელი, დიდგვაროვანი ოჯახის შთამომავალი ეტიენ ბალზანი გაიჩინა. ორი წლის შემდეგ კოკომ იგი მიატოვა და მის მდიდარ მეგობარ არისტოკრატთან, ინგლისელ არტურ ქეიპელთან გაიქცა. სწორედ მან მისცა კოკოს პირველი საკუთარი საქმის — ქალბატონების ქუდების ატელიეს — წამოსაწყებად საჭირო ფული. მომდევნო ათ წელიწადში კოკო შანელმა მოდის სახლი შექმნა, 35 წლისამ კი პირველი მილიონები მოიხვეჭა.

კოკო დიდი თავნებობით არა მარტო მოდის შექმნაში (მათ შორის, მოკლე შავი კაბის, მოკლედ შეკრეჭილი თმისა და გარუჯვის დამკვიდრებით), არამედ პირად ცხოვრებაში მოქცევითაც გამოირჩეოდა: მისი საყვარლები იყვნენ კომპოზიტორი **იგორ სტრავინსკი,** მხატვარი **პაბლო პიკასო,** პოეტი **პიერ რევერდი,** რუსეთის უკრაინელი იმპერატორის ძმა, დიდი თავადი **დიმიტრი რომანოვი,** სავაჭრო მარკის „ბურჟუას“ მფლობელი **პიერ ვერტჰაიმერი...**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მას ბრალი დასდეს ნაცისტებთან თანამშრომლობაში, თუმცა ეს ამბავი ამჟამად ბურუსითაა მოცული. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მას ახლო ნაცნობობა ჰქონდა სს-ის ბრიგადეფიურერთან, პოლიტიკური დაზვერვის (მე-6 სამმართველოს) უფროსთან **ვალტერ შელენბერგთან,** რომლის აგენტი იგი, შესაძლოა, ჰიმლერის პირადი დავალებით გაეხადათ. საქმე ის არის, რომ კოკო შანელი **უინსტონ ჩერჩილის** ახლო მეგობარი იყო, მასთან ერთად ხშირად ნადირობდა, ამდენად სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისი მეშვეობით ნაცისტები ინგლისელებთან სეპარატისტული ზავის დადებას ცდილობდნენ, რისთვისაც კოკო შანელის გადაბირება დასჭირდათ...

◎ დღის კარიკატურა



უსიტყვოდ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4089; ევრო - 2.6389;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9331;
100 რუბლი - 3.8132; თურქული ლირა - 0.7761;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4520;
1000 სომხური დრამი - 5.0746.

ამინდი 2 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +7
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +6
თბილისი: ღამე +4, დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE